



დბანისის კონფლიქტი

ყოფით ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირების ეთნიკური შტრიხები



სოციალური
სამართლიანობის
ხელშეწყობის
ფონდი

დმანისის კონფლიქტი - ყოფით ნიადაგზე დაწყებული
დაპირისპირების ეთნიკური შტრიხები

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

თბილისი, 2021

მიმოხილვის ავტორი: ქამრან მამედლი, კონსტანტინე ჩაჩიბაია

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე

რედაქტორი: ნინო ხიდიშელი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge/>

info@socialjustice.org.ge

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

სარჩევი

შესავალი	3
მეთოდოლოგია და შეზღუდვები.....	4
თეორიული ჩარჩო	5
რა მოხდა 16 და 17 მაისს?.....	7
ვინ არიან დაინტერესებული მხარეები?	11
სად არის პრობლემა?	14
რატომ მოხდა 17 მაისის კონფლიქტი?	18
ცვლილების თეორია.....	21
დასკვნა.....	22
რეკომენდაციები.....	25

შესავალი

2021 წლის 16-17 მაისს, დმანისში ეთნიკურ ჯგუფებს შორის მომხდარმა მასობრივმა დაპირისპირებებმა ქართულ მედია და პოლიტიკურ დღის წესრიგებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს. ინცინდენტის კვალდაკვალ კონფლიქტის მიზეზების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები გაისმა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე, სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან. იმავე დღეს, თანამდებობის პირების და რელიგიური ლიდერების ჩართულობით, მხარეები შერიგდნენ. თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, დმანისის მოსახლეობაში, როგორც ეთნიკურ აზერბაიჯანელებში, ასევე ეთნიკურ ქართველებშიც, მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, უკმაყოფილება და უსამართლობის განცდა ჯერ კიდევ მწვავეა.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული კონფლიქტის ანალიზისა და შეფასების დროს, დმანისი ცალკე მდგომარეობად არ უნდა დავინახოთ და მთლიანობაში დავაკვირდეთ ქვეყანაში არსებულ სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკას და ამ კუთხით არსებულ მდგომარეობას. უფრო მეტიც, ანალიზის დროს, მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ ნიგვზიანში, წინწყაროში, სამთაწყაროში, ჭელაში, მოხეში, ადიგენში, ქობულეთსა და ბუკნარში რელიგიურ ჯგუფებს შორის მომხდარი კონფლიქტების ჯაჭვი და სახელმწიფოს მხრიდან ამ კონფლიქტების სისტემურ ტრანსფორმაციაზე მუშაობის გამოცდილების არქონა.¹ ზემოთ მითითებული კონფლიქტების ძირითად ნაწილში ხელისუფლებამ უარი თქვა შევიწროებისა და ძალადობის კონკრეტულ ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირებისგან, რამაც წაახალისა შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები და შექმნა კონფლიქტების განმეორების რისკები.² ხელისუფლებამ კონფლიქტების ნაწილი არაფორმალური მედიაციის ფორმატების გამოყენებით გააჩერა, თუმცა არცერთ შემთხვევაში მან არ იმუშავა კონფლიქტის მიზეზების რეალური აღმოფხვრისა და კონფლიქტის გამოცდილების მქონე თემებს შორის ნდობის აღდგენის, თანამშრომლობის მშენებლობისთვის. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში ჩანს კონფლიქტის კონსერვაციის ნიშნები, როგორც წესი არადომინანტური ჯგუფების უფლებების, საჭიროებების და ინტერესების უგულვებელყოფისა და გაჩუმების ხარჯზე (სამთაწყარო, ქობულეთი).³

დმანისში გამოვლენილი კონფლიქტი შეუძლებელია არ წავიკითხოთ ინტეგრაციის პოლიტიკის საერთო შუქზე, რომელსაც სამწუხაროდ მეტწილად ფორმალური და მოჩვენებითი ხასიათი აქვს. ამ საკითხებზე ჩატარებული კვლევების მიხედვით, უმცირესობების მიმართ მიმღებლობა მოსახლეობის ფართო მასებში ჯერ კიდევ სუსტია. ეთნიკური ქართველების უმრავლესობა ეთნიკურ უმცირესობებს ხშირად უცხოდ, პრობლემად და სხვად აღიქვამენ. CRRG-ის 2021 წლის კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 30% მიიჩნევს, რომ მხოლოდ ეთნიკურად ქართველებს უნდა გააჩნდეთ

¹ სეკულარიზმის კრიზისი და ლოიალობა დომინანტი ჯგუფის მიმართ <https://bit.ly/3yeiodq>

² რელიგიის თავისუფლების შეზღუდვასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების მიმოხილვა. <https://bit.ly/3x8apx6>

³ რელიგია, პოლიტიკა და სოციალური კონტექსტები - კვლევების, ანგარიშების და სტატისტიკის კრებული <https://bit.ly/3ylFBdy>

საქართველოს მოქალაქეობა, ხოლო მოსახლეობის 50% პროცენტი ფიქრობს, რომ მხოლოდ მართმადიდებელ ქრისტიანებს შეუძლიათ იყვნენ ქვეყნის მოქალაქეები.⁴

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობების მონაწილეობას და წარმოჩენას. ISSA-ს მიერ, ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 2018-2019 წლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების 70%-ს არ გაუგონია, ან უარყოფს პარტიების ეთნიკურ უმცირესობებთან თანამშრომლობას რაიმე მიმართულებით.⁵ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების მაჩვენებელი 4%-მდე ჩამოვიდა.⁶ უფრო მძიმე რეალობაა ადგილობრივ თვითმმართველობებში. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად და ტრადიციულად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში საშუალოდ 779 ეთნიკურად ქართველს ჰყავს ერთი წარმომადგენელი საკრებულოში, მაშინ როდესაც 1,116 ეთნიკურად სომეხსაც და 2,945 ეთნიკურად აზერბაიჯანელსაც — თითო-თითო.

საქართველოში სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის პოლიტიკის პრობლემურ ბუნებას და შესაბამისი უწყებების სუსტ მუშაობას სოციალური სამართლიანობის ცენტრი, არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელ აქტივისტებთან და თემის ლიდერებთან ერთად, უკვე წლებია აკრიტიკებს. ჩვენი მუშაობა არადომინანტური ჯგუფებით დასახლებულ რეგიონებში აჩვენებს, რომ ერთი მხრივ, ამ რეგიონებში ეთნიკურ ჯგუფებს შორის გაზიარებული სოციალური თუ კულტურული სივრცეები და კავშირები სუსტია, ხოლო მეორე მხრივ, არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფებში მძიმედ დგას პოლიტიკური მონაწილეობის, სასიცოცხლო რესურსებზე და ბაზისურ სოციალურ პროგრამებზე ხელმისაწვდომლობის პრობლემა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ინტეგრაციის პოლიტიკის ჩავარდნები, რეგიონებში პოლიტიკური პარტიების სუსტი მუშაობა და მკაცრი უსაფრთხოების პარადიგმები, ხელს უშლის ადგილობრივ დონეზე დემოკრატიული პოლიტიკის ჩამოყალიბებას და ადგილობრივი ავთენტური ლიდერების გაჩენასაც.

წინამდებარე დოკუმენტი ქალაქ დმანისში მიმდინარე წლის 16-17 მაისს გამოვლენილი კონფლიქტის დინამიკის, ადგილობრივი კონტექსტის აღწერას, კონფლიქტის სისტემური მიზეზების წარმოჩენას და შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის ცვლილების თეორიისა და რეკომენდაციების გაცემას ისახავს მიზნად.

მეთოდოლოგია და შეზღუდვები

დოკუმენტში წარმოდგენილი შეფასებები 17 მაისს, დმანისის ცენტრში, მომხდარ დაპირისპირებებზე ჩვენს წარმოებულ დაკვირვებებს და შემდგომ დღეებში დმანისის მუნიციპალიტეტში ეთნიკურ ქართველებთან (სვანებთან) და ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან ჩატარებულ ინტერვიუებს ეფუძნება. 17 მაისს, კონფლიქტზე უშუალო დაკვირვებების

⁴ Future of Georgia, CRRG,

https://crrg.ge/uploads/tinymce/documents/Future%20of%20Georgia/Final%20FoG_Eng_08_04_2021.pdf

⁵ ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის კვლევა <https://bit.ly/3qoxuKl>

⁶ საქართველოს პარლამენტის წევრების სია: <https://parliament.ge/parliament-members>

პარალელურად, ინციდენტის დროს გავესაუბრეთ დმანისში მცხოვრებ ორ ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სამ ეთნიკურად ქართველ (მათ შორის ერთ ქალს) მოქალაქეს. კონფლიქტის შემდგომ დღეებში დმანისში ვიზიტების დროს, გავესაუბრეთ რვა ეთნიკურად ქართველი თემის წევრ დმანისელს და ათ ეთნიკურად აზერბაიჯანელი თემის წევრ დმანისელს. ასევე, ჩატარდა შეხვედრები დმანისის მუნიციპალიტეტის პოლიტიკური თანამდებობების პირებთან, მათ შორის დმანისის მერთან, გიორგი ტატუაშვილთან.

16 მაისის საღამოდან, როცა ადგილობრივმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს მაღაზიის ინციდენტის ვიდეო, აქტიურად ვაკვირდებოდით სოციალურ ქსელებში და ტელეეთერით გამოთქმულ მოსაზრებებს და ვაწარმოებდით მონიტორინგს.

მოცემული დოკუმენტი არის დმანისის მოვლენების პირველადი შეფასება. შესაბამისად, გვესმის, რომ წინამდებარე კვლევას შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული ლიმიტაციები. აქვე მივუთითებთ, ჩვენ გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია შესაბამისი უწყებებიდან, თუმცა მიუხედავად ერთ თვეზე მეტი ლოდინისა, შესაბამისი პასუხი მხოლოდ შერიგების სამინისტროდან მივიღეთ.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი მომავალში, დმანისის მოვლენებზე უფრო ჩაღრმავებული კვლევის ჩატარებას გეგმავს, რომელშიც ისტორიული კონტექსტის და მეხსიერების აღწერა, და მათი დღევანდელ საჯარო ცხოვრებაზე თუ ყოფაზე გავლენაც იქნება გაანალიზებული.

თეორიული ჩარჩო

კონფლიქტების შესასწავლად სამეცნიერო აკადემიურ სივრცეში შექმნილმა თეორიულმა ჩარჩოებმა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს. თუ 80-იანი წლების ბოლომდე, კონფლიქტები უმთავრესად ერ-სახელმწიფოებს შორის ვლიდებოდა, 90-იანი წლების დასაწყისიდან კონფლიქტოლოგების და სოციალური მეცნიერების ყურადღება მიიპყრო სამოქალაქო ომებმა, შიდა კონფლიქტებმა და ეთნიკურმა დაპირისპირებებმა. შეიცვალა ომის და მშვიდობის განმარტებებიც. თუ წლების განმავლობაში მშვიდობის ყველაზე მიღებულ განმარტებად ომის არ არსებობა ითვლებოდა, იოან გალტუნგის მიერ შემოთავაზებულმა მშვიდობის ახლებურმა დეფინიციამ კონფლიქტის და მშვიდობის გაგება თავდაყირა დააყენა. გალტუნგმა მშვიდობა ორ ნაწილად დაყო: პოზიტიურ და ნეგატიურ მშვიდობად; სადაც ნეგატიური მშვიდობა გულისხმობს პირდაპირი ძალადობის (კონფლიქტის) არარსებობას, ხოლო პოზიტიური მშვიდობა მდგომარეობას, სადაც სტრუქტურული და კულტურული ძალადობაც დასრულებული და გადალახულია.⁷

ამასთანავე, კონფლიქტი აღარ არის დანახული მხოლოდ და მხოლოდ ქმედებების დონეზე. იგი შესაძლოა დაიბადოს და ჩამოყალიბდეს კოგნიტურ (აღქმები), ემოციურ (გრძნობები) და ბიჰევიორულ (ქმედებები) დონეებზე.⁸ აღსანიშნავია, რომ ერთ რომელიმე დონეზე, რომელიმე

⁷ Galtung, J. Cultural Violence. Violence and its Alternatives. 1999 St, Martin Press, New York.

⁸ Mayer, B. The Dynamics of Conflict: A Guide to Engagement and Intervention 2012, A Wiley Imprint

მხარის მიერ კონფლიქტის არსებობის განცდა უკვე მიაწინებს იმაზე, რომ სახეზე გვაქვს კონფლიქტური სიტუაცია.

უნდა ითქვას, რომ კონფლიქტი თავისთავად ნეგატიური მოვლენა არ არის. ხშირად, კონფლიქტს ცეცხლს და მის ორმაგ ბუნებას ადარებენ, რომელიც გაზრდის და განვითარების ერთ-ერთი ატრიბუტია, თუმცა, უკონტროლო კონფლიქტს ხშირად დამანგრეველი შედეგები მოაქვს. შესაბამისად, მოცემული საკითხის შესახებ ღია საუბარი და მისი სიღრმისეული საფუძვლების შესახებ გულწრფელი დისკუსიების წარმოება კონფლიქტში ინტერვენციის და მისი მოგვარების ერთ-ერთი მეთოდი შესაძლოა იყოს. ამავე დროს, აღნიშნული არ უნდა გადაიზარდოს კონფლიქტის ესკალაციაში, ინტენსიფიკაციაში და ძალადობაში.⁹

წინამდებარე ანალიზის დოკუმენტის მიზნებიდან და დმანისის კონტექსტიდან გამომდინარე, კვლევაში თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია სამი თეორია: ბაზისური საჭიროებების, იდენტობის და კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიები. **ადამიანის ბაზისური საჭიროებების თეორიის** განმარტების მიხედვით, ღრმად გამჯდარი კონფლიქტები ბაზისური საჭიროებების (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური) დაუკმაყოფილებლობით არის გამოწვეული, სადაც იდენტობა, უსაფრთხოება, აღიარება, მონაწილეობა გადამწყვეტი ტერმინებია. აღნიშნული თეორიის მიზანია, მხარეებს დაეხმაროს მათი ბაზისური საჭიროებების იდენტიფიკაციის და ამ საჭიროებების დაკმაყოფილების პროცესში. **იდენტობის თეორიის განსაზღვრების** მიხედვით, კონფლიქტი წარმოიქმნება, როცა საფრთხე ემუქრება მხარეების იდენტობას (ან არსებობს ამის განცდა). აღნიშნული თეორია მიზნად ისახავს, შექმნას გარემო, სადაც დაპირისპირებული მხარეები შეძლებდნენ ერთმანეთის იდენტობის საფრთხეების თუ შიშების აღმოჩენას, რის შედეგადაც, გაჩნდებოდა ემპათია და ნდობა ერთმანეთის მიმართ. **კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორია** თანახმად, კონფლიქტის სიღრმისეული მიზეზი სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ჩარჩოებში თუ სტრუქტურებში არსებული უთანასწორობა და უსამართლობაა. კონფლიქტის ტრანსფორმაცია კი შესაძლებელია, თუ შევცვლით ჩარჩოებს და სტრუქტურებს, რომლებიც იწვევენ უთანასწორობას და უსამართლობას, მათ შორის ეკონომიკურ გადანაწილებას. ამასთანავე, ისეთი პროცესის და სისტემის შექმნას, რომელიც ჩაგრული მხარეების გაძლიერებას, სამართლიანობას, მშვიდობას, შერიგებას და აღიარებას უწყობს ხელს.¹⁰

იმისთვის რომ კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესი მდგრადი და ეფექტიანი იყოს, მნიშვნელოვანია, ინსტიტუციურ და ფორმალურ დონეზე ორგანიზებული ვერტიკალური სამუშაოების მიღმა, დაიგეგმოს ქვემოდან ორგანიზებული სამშვიდობო პროცესი, რომელიც კონფლიქტის გამოცდილების მქონე თემების მონაწილეობით შედგება. ეს პროცესი თემის წევრების აგენტობისა და მონაწილეობის მნიშვნელობის აღიარებაზე დგას და უშვებს, რომ ადგილობრივების ხედვები და ინტერესები მშვიდობის მშენებლობის პროცესში შეიძლება განსხვავებული იყოს, ამიტომ ის პროცესის და ინტერესების ინკლუზიურობაზე აკეთებს სწორებას. ამ მიდგომის მიხედვით, ადგილობრივი თემებისა და აქტორებით შემდგარი სამშვიდობო პროცესი უფრო მდგრადია, რადგან მის

⁹ იქვე

¹⁰ Fisher, S et al. Working with Conflict: Skills and Strategies for Action, 2000, Zed Books, New York.

მიმართ თემის წევრებს უფრო მეტი მიკუთვნებულობა აქვთ (Local Ownership).¹¹ ქვემოდან ზემოთ მშვიდობის მშენებლობის პროცესი ძალადობის გამოცდილების მქონე თემებს შესაძლებლობას აძლევს, გაახმოვანონ საკუთარი ხედვა კონფლიქტის მიზეზების შესახებ; გააძლიერონ საკუთარი სტრატეგიები იმ ძალადობის საპასუხოდ, რომელიც თავად განიცადეს და შეცვალონ ის ფართე ურთიერთობების პატერნები და სტრუქტურები, რომლის წიაღშიც ეს ძალადობა მოხდა.¹² აღნიშნული პროცესი არაელიტური, სუსტად გაგონილი ხმების გაძლიერებას ისახავს მიზნად, თუმცა თუ ამას თან არ ახლდა მშვიდობის მშენებლობის ინსტიტუციური, ვერტიკალური პროცესი, ის საზიანოც კი შეიძლება აღმოჩნდეს მშვიდობისთვის. სწორედ ამიტომ მშვიდობის მშენებლობის საქმეში ჰორიზონტალური და ვერტიკალური სამშვიდობო პროცესების მნიშვნელობა სახელმწიფომ თანადროულად, ამავე დროს, ერთმანეთის კომპლიმენტარულად უნდა დაინახოს და აამუშავოს.

რა მოხდა 16 და 17 მაისს?

16 მაისს შუადღის საათებში სამმა ეთნიკურად ქართველმა ახალგაზრდამ ქალაქ დმანისში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე, ადგილობრივი, ეთნიკურად აზერბაიჯანელის მაღაზიიდან ლუდის ნისიად აღება ისურვა, რაზეც მაღაზიის მოლარემ (მაღაზიის ერთ-ერთი მეპატრონის მეუღლემ) მათ განუცხადა, რომ ადგილზე არ იმყოფებოდა მაღაზიის მეპატრონე და ის, უფროსის თანხმობის გარეშე, ნისიად ვერაფერს გასცემდა. ამ პასუხმა სავაჭრო ობიექტზე მოსული ახალგაზრდები გააბრაზა, რის შედეგადაც, მაღაზიის შიგნით მოლარესა და ნისიის მთხოვნელებს შორის მცირე სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. აღნიშნული დაპირისპირება მალევე მაღაზიის გარე სივრცეში გადავიდა, სადაც ჩაერთვნენ მოლარე ქალის მეზობლები და ახლობლები. ხსენებული დაპირისპირების კადრებიდან იკვეთება, რომ მაღაზიის მოლარე ქალის ახლობლები აგრესიულები არიან, თუმცა, არ ჩანს, თუ რა გახდა ადგილობრივების ასეთი დამოკიდებულების მიზეზი. ინციდენტი მალევე ამოიწურა. მაღაზიის თანამშრომლებმა გამოიძახეს პოლიცია და ჩვენების მისაცემად განყოფილებაში მივიდნენ. სამართალდამცავებმა მაღაზიის თანამშრომლებს და მეპატრონეებს განუმარტეს, რომ დაიწყებდნენ გამოძიებას და პოლიციის მხრიდან სხვა ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა ამ ეტაპზე არ არსებობდა. პოლიციის მიერ ასევე არ ჩატარებულა ეფექტური სამუშაოები დაპირისპირებაში მონაწილე ახალგაზრდებთან ვითარების განმუხტვის მიზნით.

რამდენიმე საათში ხსენებული მაღაზიის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდა მივიდა და ადგილზე მყოფ სავაჭრო ობიექტის მეპატრონეებს, მათი ოჯახის წევრებს და მაღაზიაში დასაქმებულ ადამიანებს ცემა დაუწყეს. აღნიშნული ფაქტი დაფიქსირდა მაღაზიის ვიდეოკამერაში, სადაც კარგად ჩანს, თუ როგორ იწყება კონფლიქტი მოსული ახალგაზრდების მიერ და როგორ გამოაქვთ მაღაზიაში მყოფ პირებს მეორე (სამშენებლო) მაღაზიიდან ჯოხები, ხელკეტები კონფლიქტის მიმდინარეობის დროს. აღნიშნული ვიდეო მალევე გავრცელდა ინტერნეტში და სოციალურ ქსელებში

¹¹ T. Donais, 'Peacebuilding and Local Ownership: Post-conflict and Consensus-building'

¹² Stephen Campbell, 'Construing Top-down as Bottom-up: The Governmental Co-option of Peacebuilding 'From Below' in Vis-a-vis: Explorations in Anthropology, 11, no 1 (2011).

აზერბაიჯანულენოვანი ადგილობრივი ინტერნეტ მედიის, 24news.ge-ის მიერ.¹³, რის შემდეგაც, მითითებული კადრები სწრაფადვე მოექცა ეროვნული მედიაკომპანიების ყურადღების ცენტრში.

აღნიშნულმა ვიდეომასალამ საქართველოს აზერბაიჯანულ თემში განსაკუთრებული ბრაზი და უკმაყოფილება გამოიწვია. იმავე საღამოს სოციალურ ქსელებში გამოჩნდა მოწოდებები, რომ საჭირო იყო სოლიდარობის და მხარდაჭერის გამოცხადება დმანისელი აზერბაიჯანელებისთვის. ერთ-ერთი ფეისბუქ მომხმარებელი 16 მაისს, საღამოს საკუთარ გვერდზე წერდა: „დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ადგილობრივ აზერბაიჯანელ ხალხს იქ მცხოვრები სვანები თავს დაესხნენ, პირდაპირი მნიშვნელობით ველურად და არაადამიანურად. თავდამსხმელმა სვანებმა აზერბაიჯანელებს ანიშნეს, რომ თქვენი ადგილი არ არის დმანისში! ეს მიმაჩნია ძალიან დიდ შეურაცხყოფად და დანაშაულად. ეს არის ნაციზმის საშინელი ფორმა. ვითხოვ თითოეული თავდამსხმელის კანონის შესაბამისად მკაცრ დასჯას!“¹⁴ ასევე, გავრცელდა განცხადებები, რომ 17 მაისს დილის 11 საათზე დმანისში მოძალადეების დაპატიმრების მოთხოვნით მშვიდობიანი აქცია იგეგმებოდა.

17 მაისს დილის 11:00 საათზე საქართველოს აზერბაიჯანელმა თემმა (მათ შორის, მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან) დმანისის მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრება დაიწყო. ადგილობრივი ქართველი დმანისელები აცხადებენ, რომ იმ დროისთვის, მაღაზიაზე თავდასხმის მონაწილე შვიდი პირი უკვე დაკავებული იყო, თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საჯაროდ არ გავრცელებულა. როგორც რესპოდენტები განმარტავენ, მალევე, პროტესტის მონაწილეებს შორის გაჩნდა განცდა, რომ პოლიცია დამნაშავეებს არ აკავებდა და საჭირო იყო თავად აღესრულებინათ სამართალი. შეკრებილებმა გადაწყვიტეს წასულიყვნენ დმანისის იმ უბანში, სადაც 16 მაისის კონფლიქტში ჩართული ეთნიკური ქართველები (ეკომიგრანტი სვანები) ცხოვრობდნენ. ადგილობრივ აზერბაიჯანელებთან საუბრის შედეგად დგინდება, რომ სვანების დასახლებაში მათი მისვლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, მოძალადეების დაკავება და მათი პოლიციისთვის ჩაბარება იყო. თუმცა, ისინი ვერ იხსენებენ, თუ კონკრეტულად ვისგან წამოვიდა ეს ინიციატივა და ამ გადაწყვეტილებას სპონტანურ ქმედებად მოიაზრებენ, ვიდრე წინასწარ დაგეგმილ აქტს. სვანების დასახლებაში საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის მრავალრიცხოვანი პროტესტი, რომელიც ცალკეულ ეპიზოდში ძალადობრივ ნიშნებსაც ატარებდა, იქ მცხოვრებმა თემმა განსაკუთრებულ საფრთხედ აღიქვა. ადგილობრივმა სვანებმა აღნიშნული ქმედება მათზე თავდასხმის მცდელობად შეაფასა. ამ გამოცდილებამ ადგილობრივი სვანების მობილიზაცია განაპირობა, რომელიც შემდგომში ჯგუფებს შორის სპონტანურ და კოლექტიურ ძალადობაში გადაიზარდა. .

მალევე სიტუაცია უმართავი გახდა დმანისში. ადგილზე მობილიზებულმა მცირე რაოდენობის პოლიციამ ვერ შეძლო მხარეების ერთმანეთისგან დაშორების და ძალადობრივი დაპირისპირების დროული აღკვეთა. ჩვენთვის რთულია იმის დადგენა ჰქონდა თუ არა ამ პროცესებს ორგანიზებული ხასიათი და ჰყავდა თუ არა მას ორგანიზატორები. ეს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობისა და გამოძიების საგანი უფროა. თუმცა, თემის წევრების მობილიზაციის, გადაადგილების, ძალადობის ეპიზოდების

¹³ მაღაზიის წინ მომხდარი დაპირისპირების კადრები <https://24news.ge/read/id/51725>

¹⁴ ელვინ თალიევის ფეისბუქ პოსტი: <https://www.facebook.com/elvin.tagiyev.33633>

ფრაგმენტულობა, მასობრივობა და დინამიკა მათ სპონტანურობაზე უფრო მეტყველებს. მიუხედავად იმისა, ჩვენს მიერ გამოკითხული რესპოდენტები ზოგადად უთითებენ დაინტერესებულ ძალებზე და აქტორებზე, ეს მსჯელობა უფრო ჰიპოტეზურ დაინტერესებულ გეოპოლიტიკურ წარმოდგენებსა და სენტიმენტებს ჰგავს და ის კონკრეტულ ინფორმაციას, ცოდნას არ შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ დმანისის ცენტრში ადამიანების დიდი მასების გადაადგილება და მობილიზაცია ჩანდა, მანამდე კი ეს უკმაყოფილება სოციალურ ქსელებშიც იკითხებოდა, პოლიციამ ვერ შეძლო ძალადობისა და ესკალაციის რისკების სათანადო გაზომვა და დროული, ეფექტიანი პრევენციული ზომების მიღება. დმანისის ქუჩებში ეთნიკური აზერბაიჯანელები და ეთნიკური ქართველები (სვანები) ქვებით, ხელკეტებით, ჯოხებით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დამავდა რამდენიმე ათეული ადამიანი. კვლევის გუნდი ამ პერიოდშიც ადგილზე ვიმყოფებოდით და უსაფრთხოების პრობლემა ჩვენ საკუთარ თავზე გამოვცადეთ. სიტუაციის ესკალაციის პირველ საათებში პოლიცია აშკარად ვერ ახერხებდა სიტუაციის მართვას და კონფლიქტში შესული მასობრივი ჯგუფების გადაადგილების შეკავებასა თუ კონტროლს.

ადგილზე მოგვიანებით ჩავიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, რამდენიმე პარლამენტის წევრი, რელიგიური ლიდერები და ა.შ. საქართველოს შსს მინისტრმა განაცხადა, რომ კონფლიქტის მიზეზი საყოფაცხოვრებო იყო. მისივე თქმით, „ამ თემას [ეთნიკურ დაპირისპირებას] არ დავუშვებთ. ეთნიკურად აზერბაიჯანელები არიან ჩვენი მოქალაქეები, აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ჩვენი მოკავშირეა, ჩვენი მეგობარია და ეს არ უნდა დავუშვათ. ვინც ამბობს, რომ ეს არის ეთნიკური კონფლიქტი, არის ქვეყნის მტრობა.¹⁵“ მსგავსი შინაარსის განცხადებები, აზერბაიჯანის სახელმწიფოზე მინიშნებით, განმეორდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, გრიგოლ ლილუაშვილის და „ქართული ოცნებიდან“ საქართველოს პარლამენტის წევრის, ელისო ბოლქვაძის განცხადებებში.

სანამ თანამდებობის პირები დახურულ კარს მიღმა შერიგებაზე საუბრობდნენ, შუადღისით დმანისის შესასვლელთან, რომელიც პოლიციას ჩაკეტილი ჰქონდა, ეთნიკურად აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის მეორე, მასობრივი დაპირისპირება მოხდა. ამ დროს ისევ დამავდა რამდენიმე ადამიანი.¹⁶

იმავე დღეს, 17 მაისს, სადამოს საათებში, თანამდებობების პირებისა და სასულიერო ლიდერების ჩართულობით, მხარეები შერიგდნენ¹⁷. შერიგების შემდეგ ადგილობრივმა ქართველმა მოსახლეობამ, დმანისის მუნიციპალიტეტის წინ ხის ჯვარი აღმართეს და ლოცვა აღავლინეს¹⁸.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ გამოკითხული რესპოდენტები, არც ეთნიკურად ქართველები და არც ეთნიკურად აზერბაიჯანელები, აღნიშნულ შერიგებას სერიოზულად არ აღიქვამენ. ორივე ჯგუფთან ინციდენტის შემდეგ ჩატარებულ შეხვედრებში შერიგების ეს აქტი მოსახლეობის მხრიდან შეფასდა, როგორც: „ზედაპირული, არაგულწრფელი, თვალის ახვევის

¹⁵ ვახტანგ გომელაურის განცხადება: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31259048.html>

¹⁶ დაპირისპირება დმანისის შესასვლელში: <https://1tv.ge/news/dmanisis-shesasvleltan-sadac-cota-khnis-win-dapirispireba-mokhda-damatebiti-sapolicio-dzalebi-arian-mobilizebuli/>

¹⁷ დმანისში მიღწეული შერიგება: <https://netgazeti.ge/news/542469/>

¹⁸ დმანისის მერიის წინ ჯვარი აღმართეს: <https://bit.ly/3iExnIx>

მაგალითი, დადგმული სცენა, და ა.შ.“ ამის მიუხედავად, ადგილობრივი თემები ღიად, მკაფიოდ უსვამენ ხაზს მშვიდობის, ნდობის აღდგენის მნიშვნელობას და ამ პროცესში ისინი სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერას ითხოვენ. „ის რაც მოხდა, აღარ უნდა განმეორდეს“, „90-იან წლებში აღარ უნდა დავბრუნდეთ“ - ეს არის ის მოწოდებები, რომელიც სავსე სამუშაოების დროს ადგილობრივებისგან ყველაზე ხშირად ისმოდა.

აღსანიშნავია, რომ 17 მაისის კონფლიქტის ამოწურვის შემდეგ, დმანისში დიდი ოდენობით საპოლიციო ძალები მობილიზდა; დმანისის ცენტრში და სოფლებში რამდენიმე დღის განმავლობაში პოლიცია პატრულირება. მოსახლეობის ინფორმაციით, 25 მაისს, დმანისში ჩამოვიდნენ ეთნიკურად აზერბაიჯანელი და ქართველი კრიმინალური ავტორიტეტები და მშვიდობაზე შეთანხმდნენ. თუმცა, შემდგომ დღეებში დაძაბულობა არ განმუხტულა. დაფიქსირდა რამდენიმე მცირე ინციდენტი, ხოლო 10 ივნისს, ოთხი ეთნიკურად ქართველი (სვანი) დმანისელი ეთნიკურად აზერბაიჯანელ დმანისელს თავს დაესხა იმ მოტივით, რომ 17 მაისის მოვლენების დროს, ისიც აქტიურად მონაწილეობდა აზერბაიჯანელების მხარეს.¹⁹

16-17 მაისის მოვლენების შემდეგ ადგილობრივი თემის წარმომადგენლები ჩვენთან საუბარში უთითებდნენ უსაფრთხოების სერიოზულ წუხილებზე, რის გამოც მათ საკუთარი შვილების (განსაკუთრებით ბიჭების) ქალაქიდან დროებით გაშვებაც კი მოუწიათ. ეს წუხილი განსაკუთრებით ექსპლიციტურად ჩანდა ქალთა ნარატივებში, რომლებიც ცალკეულ ეპიზოდებში თავდასხმის ნეგატიური გამოცდილების ადრესატები და მსხვერპლები აღმოჩნდნენ.

16-17 მაისის მოვლენების შემდეგ, სიტუაციის ნორმალიზების მიზნით პოლიციას ძალადობაში ჩართული პირების დაკავებაზე უარის თქმა მოუწია, თუმცა, 10 ივნისს მომხდარი განმეორებითი ძალადობის მერე პოლიციამ ოთხი ადამიანი ნ.ა., ნ. მ, ნ.მ და ლ.ო. დააკავა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით სწორედ მითითებულმა პირებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა ლ. ნ.-ს და მის მეუღლეს ე.ნ.-ს, ჯგუფურად ორი ან მეტი პირი ცემეს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1 პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. ამასთან ერთად, გამოძიების ფარგლებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დაკავებული პირების სხვა სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებები გამოიკვეთა, კერძოდ, დადგინდა, რომ ერთ-ერთი დაკავებული ლ.ო. სავარაუდოდ მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ცეცხლსასროლ იარაღს და ახდენდა მარიხუანის კულტივირებას. ასევე დაკავებულები ნ.ა. და ნ. მ. ახდენდნენ მარიხუანის კულტივირებას. სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისა და აღკვეთის ღონისძიების მიზნების შესაბამისად, ოთხივე დაკავებულს ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით შეეფარდათ წინასწარი პატიმრობა.²⁰ უნდა აღინიშნოს, რომ ოთხივე დაკავებული პირი 30 წლამდე ასაკისაა, მათგან მხოლოდ ერთ პირს, ნ. მ-ს აქვს ნასამართლეობის გამოცდილება და იგი 2019 წელს გასამართლებულია ცემისთვის.

¹⁹ კიდევ ერთი დაპირისპირება დმანისში: <https://24news.ge/read/id/53142>

²⁰ 2021 წლის ივნისის მდგომარეობით

ვინ არიან დაინტერესებული მხარეები?

16-17 მაისის კონფლიქტში ჩართული მხარეების დასადგენად საჭიროა, დავინახოთ ყველა ის ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი ზეგავლენა არსებულ სიტუაციაზე, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, რომ არსებული სიტუაცია უცვლელად დატოვონ, ან რომლებსაც გააჩნიათ ცვლილების განხორციელების შესაძლებლობა.

16 მაისის კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი აქტორი მაღაზიის მეპატრონე და მისი ოჯახის წევრები არიან. მაღაზიის მეპატრონეებთან და იქ დასაქმებულ ადამიანებთან ინტერვიუები ცხადყოფს, რომ 16 მაისის მსგავსი ინციდენტი წარსულშიც არაერთხელ მომხდარა. ისინი საუბრობენ, სვანი ახალგაზრდების კონკრეტულ ჯგუფზე, რომლებიც იდენტური მეთოდებით მოსახლეობის ნაწილის სიმშვიდეს და უსაფრთხოებას არღვევენ. ასეთ დაჯგუფებაზე მსჯელობს 10 ივნისის დაშავებული ეთნიკურად აზერბაიჯანელი მამაკაცის მეუღლეც. იგი იხსენებს იგივე სახელებს, რომლებიც მეორდებოდა 16 მაისის ინციდენტში.

აქტორთა ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს აღნიშნული დაჯგუფება, რომელიც უმთავრესად ეკომიგრანტი ოჯახების ახალგაზრდებისგან შედგება. უნდა ითქვას, რომ სხვა სვანი თანატოლები საუბრობენ, რომ ეს ჯგუფი მათთვისაც გარკვეულწილად მიუღებელია. ერთ-ერთი ახალგაზრდა სვანების მხრიდან, რომელიც 17 მაისს აქტიურად ჩნდებოდა სხვადასხვა ტელეეკრანზე, იხსენებს, რომ კონფლიქტის შემდეგ დღეებში კონკრეტულმა პირებმა დაიბარეს და პასუხი მოსთხოვეს მის ქმედებაზე, რომლის დროსაც ის სვანების დამშვიდებისკენ და ძალადობისგან თავშეკავებისკენ მოუწოდებდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის აღწერის მიხედვით, დმანისის მუნიციპალიტეტში 19 141 ადამიანი ცხოვრობს, საიდანაც 66.5%-ს ეთნიკური აზერბაიჯანელები, ხოლო 33.1%-ს ეთნიკური ქართველები წარმოადგენენ. თავის მხრივ ქალაქ დმანისში 2 661 ადამიანი ცხოვრობს, სადაც მოსახლეობის 81 % ეთნიკურად ქართველია, 14.5 % - ეთნიკურად აზერბაიჯანელი. ეთნიკური ქართველები შესაძლოა დაეყოთ ორ ჯგუფად: დმანისში ისტორიულად მცხოვრები მოსახლეობა და ეკომიგრანტი დმანისელები სვანეთიდან. ადგილობრივი აზერბაიჯანელებისთვის ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავება არსებითია.

დმანისში ეთნიკური აზერბაიჯანელების და ქართველების ყველაზე მნიშვნელოვანი გადაკვეთის სივრცე დმანისის ბაზრობა და მისი მიმდებარე ტერიტორიაა. ადგილობრივი მაღაზიები და სავაჭრო სივრცეები დმანისის ბაზრობაში თანაბრად ეკუთვნით, როგორც ქართველებს, ასევე აზერბაიჯანელებს. აზერბაიჯანელი მოსახლეობა ძირითადად დმანისის სოფლებში ცხოვრობენ, შესაბამისად, ისინი მათ მიერ წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციას, დმანისის ბაზრობაზე ყიდნიან.

დმანისში ერთ-ერთი მთავარი აქტორი ადგილობრივი თვითმმართველობაა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, ქალაქის მერმა, გიორგი ტატუაშვილმა, პარტია „ქართული ოცნება“ დატოვა. თუმცა, საკრებულოს წევრებს შორის „ქართულ ოცნებას“ მნიშვნელოვანი როლი აქვს. 2020 წლის საარჩევნო პერიოდში დმანისი დამაბულობის ერთ-ერთი ეპიცენტრი იყო. მერი და მისი ადმინისტრაცია მხარს უჭერდა პარლამენტში ოპოზიციის მაჟორიტარულ კანდიდატს, კახა ოქრიაშვილს, რომელიც დმანისში ადგილობრივ ოლიგარქად ითვლება და

განსაკუთრებული გავლენებით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ არჩევნების მეორე დღეს, პირველ ნომერს დმანისის საკრებულოს თავმჯდომარე, კახა ოქრიაშვილის ნათესავი, ცეცხლსასროლი იარაღით ფეხში დაჭრეს,²¹ რაც ადგილობრივებმა საარჩევნო დაპირისპირების გაგრძელებად აღიქვეს. ვფიქრობთ, რომ არსებული პარტიული ლანდშაფტი გავლენას ახდენს დმანისში არსებულ რეალობაზე და ის ადგილობრივი ხელისუფლების პასიურობისა და არაჯეროვანი მოქმედების შინაარსს იძენს. დმანისს მერს ოპოზიციური პოზიციების მიუხედავად, არსებითად ახალი და მნიშვნელოვანი მიდგომები არ გამოუყენებია.

მოსახლეობასთან საუბრის შედეგად ვლინდება, რომ დმანისში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი აქტორთა ჯგუფი, ე.წ. ქურდული, კრიმინალური სამყაროს წევრები არიან. ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, როგორც აზერბაიჯანელ თემში, ასევე ეთნიკურად ქართველებს შორის. კანონიერი ქურდი ნადირ სალიფოვი, მეტსახელად „გული“, რომელიც 2020 წელს თურქეთში მოკლეს, წარმოშობით დმანისის სოფელ მამიშლოდან იყო. თუმცა, მისი გარემოცვის გავლენები ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია. ქართულ მედიასივრცეში მაისის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, წარმოშობით დმანისელმა ეთნიკურად აზერბაიჯანელმა ავტორიტეტებმა დმანისში შეხვედრები გამართეს კრიმინალური სამყაროს წევრ ეთნიკურ ქართველებთან, 17 მაისის კონფლიქტის მოგვარების მიზნით. აღნიშნულ ინფორმაციას ჩვენთან საუბარში ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებდა; კერძოდ, ისინი 26 მაისს სხვადასხვა ტელევიზიით სიუჟეტების გასვლამდე, იხსენებდნენ რამდენიმე სახელს, რომელიც ემთხვევა მედიაში გავრცელებულ სახელებს.

მნიშვნელოვან აქტორად უნდა ჩაითვალოს დმანისის პოლიციაც. მოსახლეობის შეფასებით, ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანო სუსტია. ეთნიკურად ქართველებიც და აზერბაიჯანელებიც აცხადებენ, რომ მსგავსი ტიპის კონფლიქტები დმანისში ხშირია. თუმცა, პოლიცია უმეტესად პასიურია. პოლიციის სისუსტეზე მიაწიშნებს 16 მაისის კონფლიქტში დაზარალებული მხარე. მაღაზიის მეპატრონეები აცხადებენ, რომ ხსენებულ კონფლიქტამდე ზემოთ აღნიშნული ჯგუფის წევრებთან რამდენჯერმე ჰქონიათ დაპირისპირება მაღაზიაში აღებული პროდუქტისთვის საფასურის არ გადახდის გამო. მათ მიმართეს პოლიციას, თუმცა, ამ მიმართვებს რაიმე რეაგირება არ მოჰყოლია. მაღაზიის მეპატრონეები აცხადებენ, რომ 16 მაისის კონფლიქტის პირველ ეტაპზე მათ შეატყობინეს სამართალდამცავებს. თუმცა, ამ უკანასკნელს კონფლიქტის პრევენციის მიზნით ეფექტური ზომები არ მიუღია. უფრო მეტიც, 16 მაისის მრავალრიცხოვანი ჩხუბის შემდეგ, მოსახლეობასთან საკმარისი კომუნიკაციის არარსებობის გამო, საქართველოს აზერბაიჯანელ თემში შეიქმნა განცდა, რომ მოძალადეები არ იყვნენ დაკავებულნი, რის შემდეგადაც თემმა გადაწყვიტა, საკუთარ თავზე აეღო დამნაშავეების იდენტიფიცირების და სამართალდამცავებისთვის ჩაბარების როლი. ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბარი, ისევე როგორც ამ დაპირისპირების გარკვეულ ეტაპზე მოქალაქეების სურვილი, საკუთარ თავზე აეღოთ სამართალდამცველების ფუნქცია, ცხადყოფს, რომ პოლიციის მიმართ ნდობა თემში დაბალია. მოსახლეობას აქვს განცდა, რომ პოლიციის მოქმედებას აქვს გარკვეული შეზღუდვები და გარკვეული პირები სამართალდამცავებისთვის იმუნიტეტით სარგებლობენ.

ცალკე აქტორად უნდა ჩაითვალოს აზერბაიჯანის სახელმწიფოც, რომელმაც 17 მაისს, დღის განმავლობაში სხვადასხვა უწყების საშუალებით (აზერბაიჯანის საელჩო, დიასპორის

²¹ დმანისის საკრებულოს თავმჯდომარეზე თავდასხმა: <https://report.ge/law/dmanisis-sakrebulo-tavmjdomaris-dachrashi-braldebuli-daakaves/>

სამსახური) ავრცელებდა განცხადებებს და საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდებდა.²² აღნიშვნის ღირსია, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეები ხშირად იხსენებდნენ აზერბაიჯანის სახელმწიფოს, როგორც მათი უფლებების და უსაფრთხოების გარანტორს. სამწუხაროდ, საქართველოს შსს მინისტრმა კი მედიასთან გაკეთებულ განცხადებებში გამოიყენა მსგავსი ენა და დმანისის მაცხოვრებლები დააკავშირა აზერბაიჯანის სახელმწიფოსთან.

დმანისში არ არსებობს ადგილობრივი მედია, ხოლო, განსაკუთრებით სუსტად მუშაობს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. ეთნიკურად ქართული თემის შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ევროპელი“ არ გამოირჩევა აქტიური მუშაობით ადგილობრივი მრავალფეროვნების და მულიტკულტურალიზმის წარმოსაჩენად. ამასთანავე, დმანისში არსებობს სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის ახალგაზრდული ცენტრი, სადაც დროდადრო იმართება საჯარო შეხვედრები. აღნიშნული ცენტრი ფუნქციონირებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის, ჰეიდარ ალიევის სახელზე არსებული ფონდის ფინანსური მხარდაჭერით აშენებულ შენობაში, რომელიც წინა წლებში გადაეცა დმანისის მერიის ააიპ-ს, „დმანისის საგანმანათლებლო ცენტრს“.

კონფლიქტით დაინტერესებულ ერთ-ერთ მხარედ უნდა ჩაითვალოს ულტრამემარჯვენე, ულტრაკონსერვატორული ჯგუფები, რომლებიც ქვემო ქართლის მცხოვრები საქართველოს მოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელების მიმართ მტრული განწყობების ჩამოყალიბებით ცდილობენ პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებას. ამ შეხედულებების მატარებელი და გამავრცელებელი მედია „ალტ ინფო“ არაერთხელ ჩავიდა უშუალოდ დმანისში დაპირისპირების გასაშუქებლად.²³ „ალტ ინფოს“ პროპაგანდისტული სტრატეგიაა ისლამოფობიური განწყობებზე პედალირება და საქართველოს მოქალაქე მუსლიმების სხვა ქვეყნების გავლენის აგენტებად მონიშვნა. ქვემო ქართლი თუ საქართველოს სხვა ის რეგიონები, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ არადომინანტური ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საქართველოს მოქალაქეები, „ალტ ინფოს“ მიერ მონიშნულია, როგორც მეზობელი ისლამური სახელმწიფოების ზეგავლენის არეალი, სადაც „ქართულ“ ინტერესებს დაცვა სჭირდება. ამ პროპაგანდისტული ნარატივისთვის ნოყიერი შემთხვევა იყო დმანისში მომხდარი დაპირისპირება. ხსენებული მედიასაშუალება ამტკიცებდა, რომ 17 მაისს ეთნიკურად აზერბაიჯანელებმა მიიტანეს იერიში ეთნიკური ქართველების დასახლებაზე, რასაც ბუნებრივად მოჰყვა იქ მაცხოვრებელი ქართველებისგან თავდაცვა. პოლიციის მიერ ეთნიკური ქართველების დაკავება „ალტ ინფოსთვის“ იყო შესაძლებლობა ესაუბრა იმაზე, რომ საქართველოში ყველაზე მეტად ეთნიკური ქართველები იჩაგრებიან და მაშინაც კი, როცა ისინი თავს იცავენ, მათ სახელმწიფოს რეპრესიული მანქანა უსწორდება.

კიდევ ერთ აქტორად ამ პროცესში ზოგადად ქართული მედია უნდა მივიჩნიოთ. უნდა ითქვას, რომ ქართულ მედიაში ეთნიკური უმცირესობების საკითხის მეტწილად ნეგატიური, კრიზისული გაშუქება ხელს უშლის მათი რეალური საჭიროებების, ყოფის დანახვას და სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის დიალოგის და ურთიერთგაგების ხელშეწყობას. აღსანიშნავია, რომ მედიასაშუალებების მხრიდან დმანისის მოვლენების აქტიური გაშუქების მიუხედავად, რომელმაც ინტეგრაციის პოლიტიკისა და პოლიციის მუშაობის სირთულეების

²² აზერბაიჯანის საელჩოს განცხადება: <https://www.facebook.com/azembassy.ge/posts/4031518813599697>

²³ „ალტ ინფოს“ გადაცემა: <https://www.youtube.com/watch?v=t20XHUp-OMo&t=12s> ; <https://www.youtube.com/watch?v=5z0WTJhWJ0s> ; <https://www.youtube.com/watch?v=AXYp5NfnzRo&t=5s>

წარმოჩენას შეუწყო ხელი, მედიაში არ ჩანდა კონფლიქტის სიღრმისეული მიზეზების ჩვენების მცდელობები. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში მედიასაშუალებები ზედაპირულად აშუქებდნენ მომხდარს, როგორც „ცხელ“ მოვლენას და ფართო საჯარო დისკუსია ამ კონფლიქტის თაობაზე თითქმის არ გამართულა.

არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს ადგილზე კვლევის პროცესში ჩვენს მიერ ორგანიზებული შეხვედრების დროს იდენტიფიცირებული ლიდერები ორივე თემში, რომლებიც აცნობიერებენ საკუთარი თემის დაშვებულ შეცდომებს და თემთა შორის ურთიერთობების პრობლემებს. უფრო მეტიც, ისინი მზად არიან მშვიდობის მშენებლობისა თუ ნდობის აღდგენის პროცესში წვლილი შეიტანონ. არსებული ადამიანური რესურსების იდენტიფიცირება და მშვიდობის მშენებლობის პროცესში მათი ჩართვა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია გვგონია კონფლიქტის მშვიდობიანი და არსებითი ტრანსფორმაციისთვის.

დმანისი პერიფერიული რურალური სივრცეა და ამგვარ სოციალურ გარემოში კონფლიქტების ტრამვა გაცილებით მძიმე და ღრმა კვალს ტოვებს, ვიდრე შედარებით ანონიმურ, ფრაგმენტიზებულ ურბანულ გარემოში. რურალურ სივრცეში უფრო ღრმა სოციალური შეჭიდულობისა და კავშირების არსებობის გამო კონფლიქტის რისკებიც დაბალია, თუმცა, 90-იანი წლების გამოცდილებამ და მისმა ტრამვულმა კვალმა საქართველოს აზერბაიჯანელ თემში, ინტეგრაციის სუსტმა პოლიტიკამ და ადგილებზე წლების განმავლობაში გაღრმავებულმა სოციალურმა იზოლაციამ თემებს შორის კონფლიქტის უმძიმესი გამოცდილების წინაშე დააყენა ადგილობრივი თემი. ამის მიუხედავად, სოფლის გარემო, კავშირები და სოციალური ქსელები თავისთავად კონფლიქტის ტრანსფორმაციის და ნდობის აღდგენის მეტ პოტენციალს შეიცავს და ეს რესურსი სახელმწიფოს მხრიდან სათანადო დანახვას საჭიროებს.

სად არის პრობლემა?

დმანისში, 16-17 მაისს მომხარი კონფლიქტის სრულფასოვანი ანალიზისთვის საჭიროა, დავინახოთ, თუ აღნიშნული ინციდენტი რომელ კულტურულ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში მოხდა. მართალია, 16 მაისს მაღაზიის ინციდენტი საყოფაცხოვრებო ნიადაგზე დაიწყო, თუმცა 17 მაისს პროცესი ფართომასშტაბიან კონფლიქტში გადაიზარდა, სადაც წყალგამყოფ ხაზს ეთნიკური კუთვნილება წარმოადგენდა. კონფლიქტში ჩართული მხარეებისთვის სიმართლის დადგენაზე უფრო მნიშვნელოვანი მათი ეთნიკური კუთვნილება იყო. ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული კონფლიქტის ანალიზისთვის საყურადღებოა დავაკვირდეთ ამ ჯგუფებს შორის არსებულ ურთიერთობებს.

დმანისში პირველადი დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ინტერ-ეთნიკური კავშირები არ არსებობს. მუნიციპალიტეტში არ არის სივრცე სადაც, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები იმუშაებდნენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თანასწორობა, სოლიდარობა და მრავალფეროვნება. გარდა დმანისის ბაზრობისა და სავაჭრო ურთიერთობებისა, ეთნოსებს შორის კომუნიკაცია და კავშირები სუსტია. ეთნიკური აზერბაიჯანელების აბსოლუტური უმრავლესობა ცხოვრობს მუნიციპალიტეტის სოფლებში. არის შემთხვევები, როცა ეთნიკური აზერბაიჯანელები სწავლობენ ქალაქ დმანისის ქართულ სკოლებში. მუნიციპალიტეტში თითქმის არ გვხვდება შერეული ოჯახები. ეთნიკური აზერბაიჯანელები განსაკუთრებით პრობლემურად აღწერენ ეკომიგრანტ სვანებთან

ურთიერთობების წარსულს და გამოცდილებას. მათი აზრით, სვანებთან დაძაბული ურთიერთობები მომდინარეობს 90-იანი წლებიდან. თუმცა, 90-იანი წლების გამოცდილებებზე დეტალურ საუბარს მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს არიდებს. ეთნიკური აზერბაიჯანელები ერთმანეთისგან განასხვავებენ ადგილობრივ დმანისელ ქართველებს ეკომიგრანტ სვანებისგან და აღნიშნავენ, რომ მათ დაძაბული ურთიერთობა აქვთ სვანებთან. ეთნიკურად აზერბაიჯანელ დმანისელებთან შეხვედრის დროს მოსახლეობა ხშირად იმეორებდა, რომ მათ ქალაქ დმანისში მეორეხარისხოვანი მოქალაქის სტატუსი აქვთ. ერთ-ერთი აზერბაიჯანელი თემის წევრის მიხედვით, „ისინი ჩვენ გვიყურებენ, როგორც არაადამიანს, ძაღლს“.

მეორე მხრივ, ეთნიკური ქართველების და სვანების აზრით, დმანისში ეთნიკური ჯგუფები თანასწორად და ჰარმონიულად ცხოვრობენ. უფრო მეტიც, 17 მაისის კონფლიქტში ჩართული ერთ-ერთი ქართველი ქალის მოსაზრების თანახმად, მათ არ უნდათ 90-იანი წლების გამოცდილებებში დაბრუნება. ადგილობრივ სვანებში განსაკუთრებით ძლიერია განცდა, რომ ისინი დმანისში იცავენ ქართულ მიწას და მათ განსაკუთრებული როლი აქვთ ამ რეგიონში. შესაბამისად, ამბობენ, მათ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას სახელმწიფო. ადგილობრივი სვანები ვერ იხსენებენ დაძაბულობის, ან კონფლიქტის მაგალითებს ეთნიკურ ჯგუფებს შორის. თუმცა, აღნიშნული მოვლენების შემდეგ, უსაფრთხოების საკითხზე წუხილები ადგილობრივ სვანებშიც გაიზარდა და განსაკუთრებით ქალები ამ გამოცდილების მიმდევრობით ემოციურ შედეგებზე უთითებენ.

ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებულ ურთიერთობებზე დაკვირვების პარალელურად, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ ადგილობრივ სისტემას, სადაც აღნიშნული ურთიერთობები ყალიბდება. 2016 წლის „მწვანე კავკასიის“ კვლევის მიხედვით, დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტში დასაქმებულ საჯარო მოხელეებს შორის დისპროპორცია 60%-ია.²⁴ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, დმანისის საკრებულოში 31 წევრია, სადაც მხოლოდ 11 წარმომადგენელი ეთნიკურად აზერბაიჯანელია; მაშინ როცა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 66% ეთნიკურად აზერბაიჯანელია. მუნიციპალიტეტის მერიის არცერთი სამსახურის, თუ განყოფილების უფროსი არ არის ეთნიკურად აზერბაიჯანელი.²⁵ მოსახლეობის მსჯელობის მიხედვით, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის რესურსები ერთ ადამიანს, კახა ოქრიაშვილს და მის ოჯახს წევრებს ეკუთვნის, რაც 90-იანებში და შემდგომ წლებში არსებული პოლიტიკის თუ რეალობის შედეგია. ადგილობრივ პოლიციაში ეთნიკური აზერბაიჯანელები მუშაობენ, თუმცა, მათი პროცენტული წილი უცნობია. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდები პოლიციის მუშაობას პრობლემურად აღწერენ. ერთ-ერთი ახალგაზრდა ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ „როცა სოფლიდან დმანისში შევდივართ, გვაჩერებენ და ფეხსაცმელსაც კი გვხდიან“. ეს გამოცდილება მათში ზრდის უკმაყოფილების და ჩაგრულობის განცდას.

პირველადი დაკვირვებით, დმანისის კულტურის სახლის მუშაობა არ ასახავს მუნიციპალიტეტის ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას. მრავალფეროვან მუნიციპალიტეტებში მულტიკულტურული პოლიტიკის წარმართვა, რომელიც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების კულტურის დაცვას, განვითარებასა და

²⁴ ეთნიკური უმცირესობები ქვემო ქართლის მუნიციპალურ ორგანოებში, მწვანე კავკასია, 2016

²⁵ დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <http://dmanisi.gov.ge/>

პოპულარიზებას, მეორე მხრივ კი, გააძლიერებს კულტურათაშორის დიალოგსა და კავშირებს, მნიშვნელოვანია ინკლუზიური სოციალური გარემოს მშენებლობისთვის. სამწუხაროდ, დმანისის მუნიციპალიტეტში ამგვარი კავშირების შენების გამოცდილება არ ჩანს. ამის საპირისპიროდ, ადგილობრივი აზერბაიჯანელები გამოხატავენ წუხილს საკუთარი კულტურის წაშლის ნეგატიური გამოცდილებების შესახებ.²⁶ ამ კუთხით ადგილობრივები ყველაზე ხშირად იხსენებენ გაუქმებული ელათის დღესასწაულის²⁷, დმანისის ისტორიულ ადგილებში არაღიარებული მეჩეთების საკითხებს.²⁸

აზერბაიჯანელ მოსახლეობაში არის განცდა, რომ ადგილობრივი რესურსები თანაბრად არ იხარჯება ქართულ და აზერბაიჯანულ სოფლებზე. მოსახლეობის მოსაზრებით, ქართულ სოფლებში ყველა ბაზისური ინფრასტრუქტურა და საჭიროებები მოწყობილია, თუმცა, აზერბაიჯანულ სოფლებში ისეთი საკითხები, როგორიცაა გზა, წყალი, საბავშვო ბაღი და ა.შ. ჯერ კიდევ პრობლემურია. ცხადია, ასიმეტრიის, მეორეხარისხვნობის ეს განცდები ყურადღებას და სათანადო პასუხს იმსახურებს ხელისუფლების მხრიდან.

სისტემურ საკითხებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს შერიგებისა და სამოქალაქო საკითხებში სახელმწიფო მინისტრის და მისი აპარატის საქმიანობა. ჩვენი დაკვირვებით, არც 17 მაისის მოვლენების დროს, არც ამ ინციდენტამდე და არც ამ ფაქტის შემდეგ, აღნიშნული უწყების აქტიური მუშაობა დმანისში არ იკითხება. სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, უწყებას არ აქვს დაგეგმილი სპეციალური სამუშაოები დმანისში მომხდარი დაპირისპირების შედეგებთან გასამკლავებლად.²⁹ სინამდვილეში, ხსენებული სამინისტროს პირდაპირი პასუხისმგებლობაა სამოქალაქო თანასწორობის მშენებლობა, ეთნოსთა შორის დიალოგის გაძლიერება და ინტერ-ეთნიკური სოლიდარობის კულტივირება. თუმცა, 17 მაისის მოვლენების დროსაც კი, მაშინ როცა ადგილზე ჩავიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და სხვა თანამდებობის პირები, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი დმანისში არ გამოჩენილა. უფრო მეტიც, უწყებამ ამ საკითხზე განცხადება მხოლოდ 17 მაისს, გვიან ღამით გაავრცელა, როცა ყველა ინციდენტი ამოწურული იყო.³⁰ როგორც აზერბაიჯანელი თემი, ასევე ეთნიკური ქართველები, აცხადებენ, რომ კონფლიქტიდან ერთი თვის შემდეგაც შერიგების და მშვიდობის მშენებლობისთვის ადგილობრივი თუ ცენტრალური ორგანოების წარმომადგენლებს არ უმუშავიათ, არც ეთნიკურ ჯგუფებთან ცალკე, და არც ერთობლიობაში.

დმანისში, ადგილობრივ დონეზე არსებული სისტემური და სტრუქტურული უთანასწორობის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად შესაძლოა ქვეყანაში არსებული სოციალური და კულტურული

²⁶ კულტურული დომინაციის და უმცირესობების კულტურის წაშლის ნიშნები ქვემო ქართლის რეგიონში, ნარგიზა არჯევანიძე, 2020, ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/kulturuli-dominatsiis-da-umtsiresobebis-kulturis-tsashlis-nishnebi-kvemo-kartlis-regionshi>

²⁷ დმანისობა - გადაწერილი დღესასწაული და კულტურული დომინაციის მექანიზმი, მარიამ შალვაშვილი, 2019, ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/dmanisoba-gadatserili-dghesastsauli-da-kulturuli-dominatsiis-mekanizmi>

²⁸ პლატფორმა სალამის განცხადება, 2020 წლის 24 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/SalamGeorgia/posts/248080936606635/>

²⁹ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის 06.07.2021 N1070 წერილი.

³⁰ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გამოხმაურება <https://www.facebook.com/SMRCEgeorgia/photos/a.240150132706853/3933882403333589/>

ნორმები მივიჩნიოთ, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებულ ურთიერთობებს.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელ აქტივისტებთან ერთად, წლებია ვაკრიტიკებთ ეთნიკური ჯგუფების სხვად, უცხოდა და პრობლემად დანახვის პრაქტიკებს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო უწყებების თუ თანამდებობების პირების რიტორიკა და პოლიტიკა არ იცვლება. სახელმწიფო უსაფრთხოების 2019 და 2020 წლის ანგარიშებში უმცირესობების დასახლებული რეგიონები ცალსახად უსაფრთხოების პრიზმიდან არის დანახული, ხოლო თანამდებობის პირების რიტორიკა, მათ შორის 17 მაისის ინციდენტის კი, დაკავშირებული იყო მეზობელ ქვეყანასთან. ამ ყველაფერს ემატება საქართველოს საპატრიარქოს და მართმადიდებელი ეკლესიის გამრიყავი განცხადებები და პოზიციები. 18 მაისს საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, მამა ანდრია ჯაღმაიძემ საკუთარ ფეისბუქ გვერდზე დმანისი მოიხსენია, როგორც „არასახარბიელო ეთნიკური ბალანსის მქონე რეგიონი“,“³¹ ხოლო 17 მაისს, დმანისის დაპირისპირებების პარალელურად, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიასთან ასოცირებულმა ფეისბუქ გვერდმა „ალილო მარნეულში“, ფეისბუქის გვერდზე გაავრცელა ზვიად გამსახურდიას ვიდეო და გამოიტანა მისი ციტატა: „საქართველო ქართველების ქვეყანაა, სხვა ყველანი სტუმრები არიან, ეს უნდა იცოდნენ მათ.“³² აღსანიშნავია, რომ მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია სხვა შემთხვევებშიც გამოდის მკვეთრად ეთნოცენტრისტული განცხადებებით და მოწოდებებით, რომელიც მარნეულის მუნიციპალიტეტში სოციალური დამაბულობის მიზეზი გამხდარა.³³

ველზე მუშაობის დროს ადგილობრივი თემები სახელმწიფოს არაეფექტიანი მუშაობის პრობლემაზე, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ სუსტ ნდობაზე და დემოკრატიული პოლიტიკური ცხოვრების გაუჩინარებაზე კრიტიკულად უთითებდნენ და მუნიციპალიტეტში სოციალური, პოლიტიკური, საპოლიციო, კულტურის მიმართულებით არსებითი რეფორმების საჭიროებაზე უთითებენ. ჩვენი დაკვირვებით უნდობლობის პრობლემა და დემოკრატიული ინსტიტუციური ჩარჩოებისა და პრაქტიკების მძიმე შედეგები სხვადასხვა მიზეზით და სხვადასხვა ხარისხით ორივე თემში ჩანს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში სახელმწიფომ ამ საფუძვლადმდებარე მიზეზებს და ფაქტორებს თვალი გაუსწოროს და უპასუხოს.

³¹ მამა ანდრია ჯაღმაიძის პოსტი: <https://mtavari.tv/news/43923-arasakharbielo-etnikuri-balansis-mkone-regioni>

³² ალილო მარნეულში-ს ფეისბუქ პოსტი:

https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=1420084001688717&id=359561074407687

³³ საზოგადოებრივი ორგანიზაციები მთავრობას ნარიმანოვის ძეგლთან დაკავშირებით პოლიტიკური პროცესის შექმნისკენ მოუწოდებენ, 2020, ხელმისაწვდომია:

<https://socialjustice.org.ge/ka/products/sazogadoebrivi-organizatsiebi-mtavrobas-narimanovis-dzeqltan-dakavshirebit-politikuri-protsis-shekmnisen-moutsodeben>

ასევე, მდუმარე დეპუტატის გავლენები მარნეულში, Ifact, 2020, ხელმისაწვდომია:

https://spark.adobe.com/page/L9feDelzBTvHE/?fbclid=IwAR0Pq89UPmV_ZALyHyxNn0PVBWRw6T_BI4gTR-RrdQBy-ImNzkdQkHmxCAcQ

რატომ მოხდა 17 მაისის კონფლიქტი?

კომპლექსური კვლევის ჩატარების გარეშე რთულია კონფლიქტის ზუსტ მიზეზებზე საუბარი, თუმცა რეგიონში მუშაობის ზოგადი გამოცდილებებიდან და დაკვირვებებიდან გამომდინარე, მაინც შესაძლებელია რამდენიმე მიზეზის გამოყოფა, იმისთვის, რომ გავანალიზოთ რატომ მიიღო ყოფითმა დაპირისპირებამ კონფლიქტის ასეთი მასშტაბები.

პირველ რიგში აქ აღსანიშნავია 90-იანი წლების მტკივნეული გამოცდილებები, რომელიც ქვემო ქართლშიც და სხვა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ საქართველოს მხარეებში არსებობს. ამ პერიოდში ეთნიკური ნაციონალიზმის ტალღას ამ კუთხეებში დაპირისპირებები და დევნა მოჰყვა, რის შესახებაც აკადემიური და საჯარო ცოდნა ძალიან მწირია. უნდა ითქვას, რომ ეკომიგრანტების ამ რეგიონებში ჩასახლების პროცესით იმდროინდელ ელიტაში ამ მხარეების „გაქართველების“ იდეა არსებობდა, რომელიც გარკვეულ წრეებში ამ დრომდე ცოცხალია. დმანისში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები იხსენებენ ეკომიგრანტი სვანების ჩამოსახლების პროცესს, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა მმართველობის პერიოდში დაიწყო. ისინი ყვებიან, რომ მაშინდელი რაიკომის - დმანისის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზებით, მოსახლეობა შეუდგა ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობას და ეს სახლები საცხოვრებელი პირობებით დაახვედრეს ახალ მოსახლეებს. დმანისელების საწყისი კეთილგანწყობის მიუხედავად, ეთნიკურ დაპირისპირებებს ეს რეგიონი მაინც ვერ აცდა 90-იან წლებში. ისევე როგორც სხვა დასახლებებში, აქ მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობების ზოგიერთმა ოჯახმაც გაარიდა თავი „ეროვნული მოძრაობის“ ზეწოლას მეზობელ ქვეყნებში. მითუმეტეს, რომ საქართველოში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და დამნაშავეების დაუსჯელი თარეში ისედაც გაუსაძლისად აქცევდა მათ აქ ცხოვრებას. 90-იანი წლების ტრავმა ეთნიკურ უმცირესობებში ჯერ კიდევ არ განელეულა. ხელისუფლების პოლიტიკური რიტორიკა მკვეთრად სუსტია თანასწორობის, მრავალფეროვნების მხარდასაჭერად, რაც სასულიერო პირების მკვეთრად შოვინისტურ მოწოდებებსა და რიტორიკას ვერ ანაცვლებს. მაგალითად, საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელის, მამა ანდრია ჯაღმაიძის განცხადება დმანისის მოსახლეობის არასასურველი ბალანსის შესახებ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მკაფიოდ არ არის უარყოფილი, რაც ამ იდეების ნორმალიზებას და სოციალურ მიმდებლობას უწყობს ხელს.

ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში მოსახლეობასთან შეხვედრებისას, ადგილზე არსებული ინფრასტრუქტურის, ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის შესწავლის და ეკონომიკური რესურსების თუ ძალაუფლების განაწილებაზე დაკვირვების დროს აშკარა ხდება, რომ რეგიონში ინტეგრაციის პოლიტიკა ფაქტობრივად ჩავარდნილია. ერთადერთ წარმატებად ამ მიმართულებით შესაძლოა დასახელდეს ეთნიკური უმცირესობის ახალგაზრდებისთვის 1+4 სისტემით სწავლება, რამაც ბევრ ახალგაზრდას შესაძლებლობა მისცა ესწავლა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ამ პროგრამის სხვადასხვა ნაკლის მიუხედავად, მან მაინც შეასრულა ინტეგრაციული ფუნქცია, ვინაიდან მაგალითად, საქართველოს აზერბაიჯანელებს მისცა შესაძლებლობა დაემყარებინათ სოციალური კონტაქტი მათი უშუალო დასახლების გარეთ საქართველოს სხვა მოქალაქეებთან. რა თქმა უნდა, ამ პროგრამის წყალობით ენის ბარიერის დაძლევა ინტეგრაციის ხელშეწყობის ერთ-ერთი ბერკეტია. თუმცა დღევანდელი მოცემულობით პროგრამის დადებითი შედეგები ფაქტობრივად ამოწურულია და ეს პროცესი სხვა გამოწვევებს წარმოშობს. რეგიონში ნეპოტიზტური და კლანური კავშირების გამო, რიგითი მოქალაქისთვის საჯარო უწყებებში დასაქმების შესაძლებლობა შეზღუდულია და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში

პოლიტიკური თანამდებობები, დასაქმების წილი მკვეთრად დისბალანსის გამომხატველია ეთნიკური ქართველების სასარგებლოდ. შესაბამისად, საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღების პერსპექტივები და მიმზიდველობა ეთნიკური აზერბაიჯანელებისთვის შესაძლოა საბოლოოდ არც ისე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. დღესდღეობით ახალგაზრდების უმრავლესობა კვლავ მოწადინებულია საქართველოში მიიღოს უმაღლესი განათლება, მაგრამ შესაძლოა ამ დაინტერესების ინერცია მალე იმედგაცრუებამ ჩაანაცვლოს, თუ საქართველოში უმაღლეს განათლება მიღებული ახალგაზრდები ვერ მოახერხებენ ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას და მოუწევთ დამატებითი ბარიერების გადალახვა საკუთარი ეთნიკური კუთვნილების გამო. ამ პრობლემებს ემატება ფაქტობრივად კულტურული ინტეგრაციის პოლიტიკის არარსებობა. კულტურული დაწესებულებები და არც თვითმმართველობის ორგანოები არ გამოხატავენ ინტერესს ადგილობრივი აზერბაიჯანელების კულტურის პოპულარიზაციის სურვილს და არ აქვთ სათანადო მცდელობა ამ მიმართულებით.

ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები ცხადყოფს, რომ მიზეზულია დმანისში ეთნიკურ ჯგუფებს შორის კავშირები და კომუნიკაცია მათი საერთო ყოფითი პრობლემების გადაჭრისთვის. შესაძლოა ითქვას, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელები და ეთნიკური ქართველები ერთმანეთის ყოფასაც არ იცნობენ. დმანისელი აზერბაიჯანელები ფიქრობენ, რომ ყველა რესურსი იხარჯება ქართულ სოფლებზე, ხოლო დმანისელი ქართველების მოსაზრებით, აზერბაიჯანელები დმანისში პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან. ასეთ რეალობაში, საერთო ყოფით საკითხებზე ინტერ-ეთნიკური ჯგუფების მუშაობის გაძლიერებაზე ფიქრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის და ადგილობრივ თვითმმართველობის პასუხისმგებლობა უნდა იყოს. ამის მიუხედავად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციები და გაწეული სამუშაოც წლების განმავლობაში უფრო და უფრო ფორმალური ხდება.

სოციალური კავშირების, თანასწორი გარემოს მშენებლობაში არსებითია ადგილობრივი თვითმმართველობის როლი, რომელიც თემთან ყველაზე ახლოს მდგომი პოლიტიკური ძალაუფლებაა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ადგილზე არსებული რეალობა უკეთ იცის, სუსტი დეცენტრალიზაციის, დაბალი პოლიტიკური ნდობისა და შესაძლებლობის პირობებში, ის ვერ ახერხებს დღის წესრიგის დამოუკიდებელ შექმნასა თუ პოლიტიკის წარმოებას.

განსაკუთრებული ხაზი უნდა გაესვას შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობას და ნდობის პრობლემას პოლიციის მიმართ, რომელსაც ადგილობრივი თემის ლიდერების მხრიდან არაერთხელ გაესვა ხაზი. კრიმინალური ჯგუფების საქმიანობის შეწყნარება და მათი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზება, დაუსჯელობის გარემოს ახალისებს და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობას ამცირებს.

რელიგიური თუ ეთნიკური თვალსაზრისით მრავალფეროვან რეგიონებში არსებითია პოლიციის სათანადო ოპერირების საკითხი. სოციალური იზოლაციის და პოლიტიკური გაუცხოების გამო ხშირად უმცირესობებს მიკუთნებულ ჯგუფებში სახელმწიფო ინსტიტუტების, განსაკუთრებით პოლიციის მიმართ ნდობა ზოგადად დაბალია. ნდობის პრობლემა და ნიჰილიზმი ადგილობრივებში ხშირად იწვევს სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებისგან თავის შეკავებას, რაც დაუსჯელობის და სუსტი სამართლებრივი დაცვის

პრობლემას ქმნის. ზოგიერთ რეგიონში სამართალდამცავი ორგანოს მიმართ ნდობა კიდევ უფრო სუსტია პოლიციის კონტროლზე ორიენტირებული მუშაობის გამო, რაც ადგილობრივების ხშირ შემოწმებაში, დაბარებაში, ჩხრეკაში, გაჩერებაში, რეიდებში, დაჯარიმებაში, პროფილირებაში და სხვა თვითნებურ პრაქტიკებში ვლინდება. აღნიშნული პრაქტიკების უკან, როგორც წესი, კონკრეტული სოციალური ჯგუფის რისკ ჯგუფად მონიშვნის და მისი სოციალური კონტროლის ინტერესი დგას.

იმისთვის რომ უმცირესობების მიმართ პოლიციის პოლიტიკა უფრო დემოკრატიული და თემზე ორიენტირებული გახდეს, არსებითია პოლიციის რეპრეზენტაცია (პოლიციის განყოფილებების განაწილება) ამ რეგიონებში ობიექტურ მონაცემებზე და კვლევაზე დაფუძნებულ მიდგომებს ემყარებოდეს და ამ ადგილებში პოლიციის ჭარბი კონცენტრაციის ან პირიქით, იგნორირების/მიტოვების განცდას არ ტოვებდეს. ამასთან მნიშვნელოვანია, უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოქმედ სამართალდამცავი ორგანოების განყოფილებებში სხვადასხვა თანამდებობაზე თემის წარმომადგენლები ასევე იყვნენ წარმოდგენილები და ამ კუთხით დასაქმების პოლიტიკა სამართლიანი იყოს. პოლიციელების მიღმა სამართალდამცავმა ორგანომ შეიძლება ადგილობრივი თემის წევრები პოლიციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სოციალურ სამსახურში ჩართონ. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს მათ შორის იმ რეგიონებისთვის, სადაც ენობრივი განსხვავებები და ბარიერი არსებობს. ცალკე უნდა აღინიშნოს ადგილობრივ თემთან პოლიციის კომუნიკაციის სათანადო სტრატეგიის საკითხი, რომელიც პოლიციის თანამშრომლებში რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფის ისტორიის, კულტურის, ეთიკის, ტრადიციის თავისებურებების შესახებ სათანადო ცოდნას და ადგილობრივების კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემას უნდა ეფუძნებოდეს. მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავ ორგანოებს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდეს თემის რელიგიურ ლიდერებთან და სხვა ტრადიციულ ლიდერებთან მათგან თემის საჭიროებების და წუხილების მოსმენის მიზნით. ცხადია, ამ კომუნიკაციამ არ უნდა მიიღოს მათი კონტროლის და ჩარევის ფორმა.

ეთნიკური და რელიგიური თვალსაზრისით მრავალფეროვან თემში სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფს შორის შეიძლება არსებობდეს დაძაბულობა ან კონფლიქტის რისკი, რის გამოც არსებითია პოლიციას კარგად ჰქონდეს შესწავლილი არსებული კონტექსტი და კონფლიქტების მოგვარების პროცესში განუხრელად დაიცვას ნეიტრალობისა და თანასწორობის პრინციპები. დისკრიმინაციულ დანაშაულებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების მიუხედავად, სამინისტროს არ აქვს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სამართალდამცავების მუშაობის სპეციფიკასთან დაკავშირებით, რის გამოც ზოგიერთ რეგიონში მნიშვნელოვან გამოწვევებს ვხედავთ. ქვემო ქართლის რეგიონში პოლიციის ნდობისა და ეფექტიანობის პრობლემა ერთი შეხედვით დგას და ის სახელმწიფოს მხრიდან ჯეროვან რეაგირებას მოითხოვს.

ცვლილების თეორია

არსებული სიტუაციის, მდგომარეობის აღწერაზე და ანალიზზე დაყრდნობით შესაძლოა განხილულ იქნას რამდენიმე ცვლილების თეორია. ამ ნაწილში, დოკუმენტი წარმოადგენს სამი ცვლილების თეორიას, განიხილავს თითოეულ მათგანს და საუკეთესო ცვლილების თეორიის საფუძველზე წარმოადგენს რეკომენდაციებს სხვადასხვა უწყებისთვის.

ცვლილების თეორია 1: *თუ* მედიასაშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები არ ჩაერევian დმანისში მიმდინარე მოვლენებში და სიტუაციას უფრო მეტად არ დაძაბავენ, *მაშინ* დმანისელები თავად შეძლებენ მშვიდობიანად თანაცხოვრების გაგრძელებას.

პირველი ცვლილების თეორიის განმარტება: დმანისში ვიზიტების დროს, მსგავსი მოსაზრებები თანამდებობის პირებისა და ეთნიკურად ქართველი დმანისელების მხრიდან აქტიურად ისმოდა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის კონფლიქტებში გარე აქტორების ქმედებებმა შესაძლოა სიტუაციის დაძაბვა და კონფლიქტის ესკალაცია ნამდვილად გამოიწვიოს. თუმცა, არსებული სიტუაციის აღწერიდან და ანალიზიდან ჩანს, რომ გაუცხოება, დაძაბულობა და მცირე კონფლიქტები დმანისში ეთნიკურ ჯგუფებს შორის, განსაკუთრებით კი ეთნიკურ აზერბაიჯანელებსა და ეკომიგრანტ სვანებს შორის საკმაოდ ხანია არსებობს. აშკარაა, რომ 17 ივნისი დიდი ხნის განმავლობაში დაგროვებული ემოციების და უკმაყოფილებების ერთობლიობა იყო, და არაიზოლირებული ინციდენტი. რა თქმა უნდა, მოვლენების გაშუქებისა და დაინტერესებულ მხარეებთან მუშაობის პროცესში, მედიასაშუალებებმა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე აქტორებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ; ეს საკმარისი არ იქნება დმანისში არსებული პრობლემური ყოფის და დაძაბული ურთიერთობების გასაწესრიგებლად.

ცვლილების თეორია 2: *თუ* სახელმწიფო დააიდენტიფიცირებს 16-17 მაისის და ნებისმიერი სხვა დაპირისპირების მონაწილეებს, დასჯის ყველა დამნაშავეს და მოსახლეობაში შექმნის სახელმწიფოს, როგორც ნებისმიერი დამნაშავეს სათანადოდ დამსჯელის იმიჯს, *მაშინ* მსგავსი ტიპის კონფლიქტები აღარ განმეორდება.

მეორე ცვლილების თეორიის განმარტება: დმანისის ინციდენტის შემდეგ, მოსახლეობის, მედიასაშუალებების და პოლიტიკური და სამოქალაქო აქტორების მოთხოვნა დამნაშავეების დასჯა იყო. როგორც ეთნიკურად აზერბაიჯანელები, ასევე ეთნიკური ქართველები აცხადებდნენ, რომ მათი ქმედებები დაუცველობის განცდიდან მომდინარეობდა, სადაც სახელმწიფო ვერ ქმნიდა მოსახლეობაში სამართლიანობის განცდას. რა თქმა უნდა, დმანისში 16-17 მაისს განვითარებული მოვლენები სახელმწიფოს მხრიდან სიღრმისეულ გამოძიებას საჭიროებს. არსებულ სიტუაციაში, როცა 17 მაისს კონფლიქტში ჩართული ადამიანების რაოდენობა რამდენიმე ასეულ ადამიანს ითვლიდა, არსებითად შეუძლებელია ყველა იმ პირის დაკავება ან/და დასჯა, ვინც მონაწილეობას იღებდა ამ დაპირისპირებაში. მით უმეტეს, მაშინ, როცა სახელმწიფომ აქცენტი გააკეთა მშვიდობის მშენებლობაზე და შერიგებაზე, ვიდრე დასჯაზე. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საჭიროა, დაისაჯოს ყველას ის პირი, რომელიც პროცესებს ორგანიზებას უწევდა და მიზანმიმართულად ცდილობდა დაძაბულობის გაზრდას, თუმცა, ყველა ადამიანის დასჯა, ვინც ისროდა ქვას, თუ იქნებდა მუშტებს, უფრო მეტად გაამწვავებდა სიტუაციას. უფრო მეტიც, მხოლოდ დამნაშავეების დასჯაზე აქცენტი დმანისში ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული გაუცხოების, დაძაბულობის, თუ კონფლიქტის სიღრმისეული საფუძვლების მოგვარებას ვერ უზრუნველყოფს. მკაცრი

საპოლიციო კონტროლის და მმართველობის შედეგად (როგორც იყო წინა ხელისუფლების პირობებში) ეთნიკურ ჯგუფებს შორის შეიქმნება ნეგატიური მშვიდობა, ხოლო პოლიციის ძალაუფლების მცირედით შესუსტების პარალელურად დაძაბული სიტუაციები და კონფლიქტები განმეორდება.

ცვლილების თეორია (რეკომენდირებული) 3: თუ დმანისში შეიქმნებოდა ინტერ-ეთნიკური დიალოგის სივრცეები, მოსახლეობა შეძლებდა ერთმანეთის ყოფის დანახვას, ურთიერთგაზიარებას და ჩამოყალიბდებოდა სამართლიანობის განცდა, მაშინ მსგავსი ინციდენტები დმანისში არ განმეორდებოდა.

მესამე (რეკომენდირებული) ცვლილების თეორიის განმარტება: არსებული სიტუაციის აღწერის და ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ დმანისში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების პრობლემური ბუნებაა. მოსახლეობაში ძლიერია უკმაყოფილების, უთანასწორობის და უსამართლობის განცდა, რომელიც ხშირად მეორე ეთნიკურ ჯგუფს ბრალდება. რეალური კავშირების უქონლობის, ერთმანეთის ყოფის შესახებ ინფორმაციის არარსებობის და ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული სოციალური გაუცხოების გამო, საყოფაცხოვრებო დაპირისპირებების ეთნიკურ ხაზებში გადასვლის საფრთხე ყოველთვის არსებობს. დმანისში ორივე მხარეს არსებული უთანასწორობის განცდებზე და უკმაყოფილებებზე სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოები სათანადოდ ვერ რეაგირებენ; არ გვხვდება სახელმწიფოს პროაქტიული მუშაობა ეთნიკურ ჯგუფებთან. უფრო მეტიც, ხშირად, პოლიციის მიერ მცირე კონფლიქტების და ინციდენტების არაეფექტიანი გამოძიება, ერთი მხრივ, საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაში უსამართლობის განცდას, ხოლო მეორე მხრივ, დომინანტ ჯგუფში არსებულ მოკრიმინალო ჯგუფებში დაუსჯელობის და პრივილეგიზებულიობის შეგრძნებებს აძლიერებს. არსებულ სიტუაციაში საჭიროა, სახელმწიფომ, არა მხოლოდ იფიქროს დამნაშავეების დასჯაზე და პოლიციის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდაზე, არამედ იმუშაოს ეთნიკურ ჯგუფებს შორის რეალური კავშირების და ურთიერთობების მშენებლობაზე, რომლის შედეგადაც დმანისში მსგავსი დაპირისპირებების შედეგზე ორიენტირებული პრევენცია მოხდება.

დასკვნა

დმანისის გამოვლენილი კონფლიქტი ერთი მხრივ ინტეგრაციის პოლიტიკის კუთხით არსებული სტრუქტურული გამოწვევების, მეორე მხრივ კი თავად დმანისის მუნიციპალიტეტის ისტორიული გამოცდილებების, ტრავმატული კოლექტიური მეხსიერების, თემთან შორის სოციალური იზოლაციისა და ადგილობრივი სოციალური საჭიროებების შუქზე უნდა გავანალიზოთ. სამწუხაროდ, აშკარაა, რომ ინკლუზიური, თანასწორი და სამართლიანი სოციალური თუ პოლიტიკური გარემოს მშენებლობის პროცესში ხელისუფლებების მიერ წლების განმავლობაში გამოვლენილი გულგრილობა, ქმნის მაღალ რისკებს თემთა შორის სოციალური იზოლაციისთვის და კონფლიქტებისთვის. ამ რისკების მძიმე შედეგები კი სახელმწიფოს მხრიდან ჯეროვნად შეფასებული არ არის და ის ყოველ ჯერზე პრობლემის არადიარების ინსტინქტსა და მიდგომას მიმართავს. მასობრივი ძალადობისა და თემთა შორის კონფლიქტის პირველივე დღეებში ხელისუფლების

წარმომადგენლების მხრიდან გაკეთებული განცხადებები, რომ ეს მხოლოდ საყოფაცხოვრებო კონფლიქტი გახლდათ და მისი სხვაგვარი ინტერპრეტაცია დაუშვებელი, ანტისახელმწიფოებრივი იყო, კონფლიქტების მიზეზებზე მსჯელობის ჩახშობის, ამავე დროს, პრობლემის რედუცირების აშკარა მაგალითი იყო. სამწუხაროდ, ეს მიდგომა მხოლოდ პოლიტიკურ ენაში არ გამოხატულა და კონფლიქტიდან ორი თვის შემდეგაც, მუნიციპალიტეტში გრძელვადიან ტრანსფორმაციებზე და თემთა შორის ნდობის აღდგენაზე მიმართული სამუშაოები სახელმწიფო ორგანოების მხრიდან არ ჩანს. უნდა ითქვას, რომ სხვა რეგიონებში გამოვლენილი რელიგიური და ეთნიკური კონტექსტის მქონე კონფლიქტების შემთხვევაშიც ხელისუფლებას იგივე მიდგომა ჰქონდა და არცერთხელ შეუქმნია კონფლიქტის გამოცდილების მქონე თემებში ნდობის აღდგენისკენ, დიალოგისკენ და თანამშრომლობისკენ მიმართული პროცესები. ეს მაშინ როცა პრობლემების შესახებ მოსმენისა და დისკუსიის პროცესების შექმნა კონფლიქტების ტრანსფორმაციისა თუ დამაბულობის განმუხტვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

აშკარაა, რომ თემის ლიდერებში განცდა, რომ კონფლიქტი ამოიწურა და გადაიჭრა არ არსებობს და ყველა გამოკითხული ადამიანი სუსტ ნდობას ავლენდა 17 მაისს მომხდარი შერიგების სიმბოლური პროცესის მიმართ. მათი თქმით, ისინი შერიგების პროცესში მონაწილე პირებს არც კი იცნობენ და თავად ეს ფაქტიც აჩვენებს, თუ რამდენად გამჭრალია პოლიტიკური და სამოქალაქო ცხოვრება დმანისის მუნიციპალიტეტში. ამის მიუხედავად, ამ პროცესში ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ადგილობრივი თემების ლიდერები იზიარებენ მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს, თემთა შორის ნდობის, მშვიდობის მშენებლობას და ეს მდგომარეობა თუ მოლოდინები სახელმწიფოს მხრიდან დროულ აღიარებას, გამოყენებასა და მხარდაჭერას საჭიროებს.

კიდევ უფრო შემაშფოთებელი იყო ხელისუფლების წარმომადგენლების ის განცხადებები, რომელიც საქართველოს აზერბაიჯანელ თემს მეზობელ ქვეყანასთან აკავშირებდა და საკითხის გეოპოლიტიზირებას უშვებდა. საკუთარი მოქალაქეების მეზობელ ქვეყანასთან დაკავშირება დემოკრატიული სახელმწიფოს იდეის არასწორ გაგებაზე მიანიშნებს და მას დეზინტეგრაციული შინაარსი და გავლენა აქვს.

ჩვენი მოსაზრებით, დმანისში გამოვლენილი კონფლიქტის ტრანსფორმაცია მოითხოვს ცვლილებებს, როგორც ვერტიკალურ დონეზე, (ინტეგრაციის პოლიტიკის, ეთნიკური უმცირესობებისთვის სამართლიანი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გარემოს მშენებლობის გაძლიერება), ისე ჰორიზონტალურ დონეზე (ადგილობრივ თემებს შორის დიალოგის, კავშირების და თანამშრომლობის წახალისება). წლების განმავლობაში ინტეგრაციის პოლიტიკის მოჩვენებითი და ზედაპირული შინაარსი ჩვენი საზოგადოების სოციალური ქსოვილის ფრაგმენტაციას იწვევს და თემთა შორის იზოლაციას, პოლარიზაციას აღრმავებს. ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკაში უსაფრთხოების პერსპექტივის დომინირების მიუხედავად, ფრაგმენტაციისა და გაუცხოების ეს პროცესი (რაც მათ შორის, ბოლო წლებში კონფლიქტების ნაგეტიურ გამოცდილებებშიც ჩანს) სათანადოდ პრობლემატიზირებული და აღიარებული სახელმწიფოს მხრიდან სოციალური და პოლიტიკური უსაფრთხოების მიზნებითაც კი არ არის. სამწუხაროდ, სახელმწიფო უწყებების

მხრიდან იმის გაცნობიერება, რომ სწორედ ინკლუზიური, სამართლიანი და თანასწორი სოციალური თუ პოლიტიკური გარემო უფრო უსაფრთხო და ნაკლებად კონფლიქტური საზოგადოების მშენებლობის პირდაპირი და ერთადერთი გზაა, კვლავ სუსტია.

ჩვენს პოლიტიკურ სისტემაში ამ დრომდე არ გვაქვს სპეციალური მექანიზმები, რომელიც ეთნიკური უმცირესობების დაბალ პოლიტიკურ რეპრეზენტაციასა და მონაწილეობას, საჯარო სერვისებთან ხელმისაწვდომობას, საჯარო სამსახურში დასაქმებას წაახალისებდა. ქვემოდან ამოზრდილი კრიტიკის მიუხედავად, სახელმწიფო და პარტიული პოლიტიკა გულგრილია ეთნიკური უმცირესობების წუხილების და ინტერესების მიმართ. უფრო მეტიც, წლების განმავლობაში სახელმწიფო ინსტიტუტები და პარტიები ვერ ახერხებენ გაბატონებული ეთნორელიგიური ნაციონალიზმის იდეოლოგიის შეკავებას და მის საპირისპიროდ, მაკონსოლიდირებელი, სამართლიანი და ინკლუზიური პოლიტიკური იდეების შექმნას, ასევე კულტივირებას. თანასწორობაზე, მოქალაქეობაზე დაფუძნებული პოლიტიკური იდეები და მოწოდებები თითქმის აღარ ისმის პოლიტიკური აქტორებისა თუ ლიდერების განცხადებებში. ფორმალური განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმები კი კვლავ ყველაზე სუსტი რჩება სწორედ თანასწორობის და მრავალფეროვნების პოლიტიკის მიმართ.

მკვეთრად სუსტია ადგილობრივი თვითმმართველობის როლი ინტეგრაციის პოლიტიკაში. საერთო საგანმანათლებლო, კულტურული პროგრამების შექმნა, უმცირესობების კულტურის პატივისცემა და წარმოჩენის ხელშეწყობა, საერთო სოციალური და ეკონომიკური პროექტების დანერგვა, თემთა შორის დისკუსიის ფორმატების ინსტიტუციონალიზება არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები ადგილობრივ დონეზე სოციალური გაუცხოების დასაძლევად. მიუხედავად ამისა, ამ პროცესებზე და პრაქტიკებზე მსჯელობის სივრცეც კი არ არის შემქნილი ადგილობრივ დონეზე. ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე ძალაუფლების სუსტი დეცენტრალიზაცია, მისი დეპოლიტიზირება და ტექნოკრატიზაცია კიდევ ერთი პროცესია, რომელიც ამ დონეზე პოლიტიკური ცხოვრების შექმნას, საზოგადოების მონაწილეობასა და ინკლუზიას ხელს უშლის. ეს პროცესი ორმაგად აზიანებს ეთნიკურ უმცირესობებს, რომლებისთვისაც ნაციონალური/ცენტრალური პოლიტიკის ინსტიტუციური სივრცეები კიდევ უფრო ხელმიუწვდომელი და ჩაკეტილია.

სახელმწიფოს საგანგებო ყურადღებას ითხოვს პოლიციის მუშაობა ადგილზე და ადგილობრივ თემებში გაჩენილი უსაფრთხოების წუხილები. ეს რეალობა შსს-ს მხრიდან ამ მუნიციპალიტეტში (ისევე როგორც ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვან სხვა მუნიციპალიტეტებში) მათი მუშაობის კრიტიკული ანალიზის და რეფორმის დაწყების საფუძველი უნდა გახდეს. მართლწესრიგის დაცვის პროცესში შექმნილი სირთულეები, ისევე როგორც პოლიციის ნდობის კუთხით დაგროვებული კრიტიკა, უწყების დროულ და გადაუდებელ რეაგირებას მოითხოვს.

ამ პირობებში არსებითია, ცენტალურმა და ადგილობრივმა სახელმწიფო უწყებებმა კონფლიქტის ტრანსფორმაციის კოორდინირებული, მრავალდონიანი და თანმიმდევრული სამოქმედო გეგმა შეიმუშაონ, რომელიც მის პირველ ფაზაში კონფლიქტის მიზეზების კვლევისა და ანალიზის ეტაპს მოიცავს. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში სახელმწიფო უწყებებმა, ექსპერტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის აქტორების მიღმა,

ადგილობრივების პერსპექტივები და ახსნა მოისმინონ. მუშაობის შემდეგი ეტაპი კი მოკლევადიანი და გრძელვადიანი ცვლილებების ჯაჭვს უნდა მოიცავდეს, როგორც ინსტიტუციური პოლიტიკის, ისე განათლების, კულტურის, სოციალური დაცვის, საჯარო განათლებისა და სამოქალაქო აქტივიზმის მიმართულებებით.

სახელმწიფოზე ორიენტირებული მიდგომების კვალდაკვალ ამ პროცესში არაფორმალური, თემთაშორისი ურთიერთობის და თანამშრომლობის მშენებლობა უმნიშვნელოვანესია. სწორედ ამიტომ მშვიდობის მშენებლობის პროცესში რეგიონში განსაკუთრებული წვლილი აქვთ საზოგადოებრივ და დონორ ორგანიზაციებს, რომლებიც, როგორც ზემოთ ითქვა, ამ რეგიონში სუსტია.

იმედს გამოვთქვამთ, რომ წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ფაქტები, შეფასებები, კონცეფციები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ბოლო პერიოდში ჩვენს საზოგადოებაში გამოვლენილი რელიგიური და ეთნიკური კონტექსტის მქონე კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე მიმართული პოლიტიკისა შექმნას და პრობლემის არაღიარების, მიჩქმალვის მიდგომის ნაცვლად სახელმწიფო მათი მიზეზებისა და ფაქტორების კვლევის, ასევე სისტემური გადაჭრის მიდგომების გამოყენებას დაიწყებს.

რეკომენდაციები

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, გვინდა წარმოვადგინოთ ჩვენი რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის, პარლამენტის და სხვა რელევანტური სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების მიმართ:

საქართველოს მთავრობამ

- კრიტიკულად შეაფასოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მუშაობა და ამ პროცესში განსაკუთრებული ადგილი დაუთმოს: (1) ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარი სტრუქტურული სირთულეების აღმოფხვრის საკითხებს, მათ შორის, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური რეპრეზენტაციისა და მონაწილეობის გაზრდას, საჯარო სამსახურში დასაქმების ხელეწყობას, საჯარო სერვისების, რესურსებისა და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის ხელმისაწვდომობის გაზრდას, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ დაბალი ნდობის აღმოფხვრას; (2) საზოგადოებაში თანასწორობაზე, მრავალფეროვნებაზე და სოლიდარობაზე დაფუძნებული იდეების გავრცელებას ფორმალური განათლებისა და საგანმანათლებლო-პოლიტიკური კამპანიების ორგანიზებით გზით; (3) ეთნოსთაშორისი დიალოგისა და თანამშრომლობის მშენებლობისა და ადგილებზე მულტიკულტურული გარემოს მშენებლობას;
- ეთნიკური უმცირესობების საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობასთან (ადამიანის უფლებების უწყებათაშორისო საბჭოსთან, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს) შექმნას ეთნიკური უმცირესობების დემოკრატიული და ქმედითი საკონსულტაციო ორგანო, რომლის მუშაობა ასევე დაეფუძნება საერთაშორისო და ადგილობრივი აქტორების რეკომენდაციებსა და კონსულტაციებს;
- სხვადასხვა უწყების და ექსპერტული წრეების მონაწილეობით შეიმუშავოს და განახორციელოს დმანისში და კონფლიქტის გამოცდილების ან/და რისკის წინაშე მდგარ სხვა მუნიციპალიტეტებში კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე, ნდობის აღდგენაზე და თემთა შორის დიალოგისა და თანამშრომლობის მშენებლობაზე მიმართული გრძელვადიანი და კომპლექსური სამუშაოები;

- მიიღოს საგანგებო ზომები ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვან რეგიონებში სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის გაზრდის მიზნით. მათ შორის, დმანისის მუნიციპალიტეტში გააძლიეროს სხვადასხვა უწყებების პროაქტიული მუშაობა და ადგილობრივი თემების სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო საჭიროებებისა და წუხილების შესწავლა და გადაჭრა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატმა

- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმოს ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვან თემებში კონფლიქტების პრევენციასა და თემთაშორისი ნდობის, დიალოგისა თუ თანამშრომლობის მშენებლობის საკითხებს, მათ შორის, განსაკუთრებული აქცენტით დმანისზე;
- სხვადასხვა სახელმწიფო უწყებთან კოორდინაციით, წამოიწყოს და მხარი დაუჭიროს ინტერ-ეთნიკურ თანამშრომლობაზე მიმართულ პროექტებსა და ინიციატივებს (მათ შორის, სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურის, სამოქალაქო აქტივიზმის სფეროებში) კონფლიქტის გამოცდილების ან ამგვარი რისკის წინაშე მდგარ თემებში;
- დაგეგმოს და ჩაატაროს ნდობის აღდგენაზე და ინტერ-ეთნიკურ დიალოგზე ორიენტირებული სათემო შეხვედრები, სადაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები დემოკრატიული და ინკლუზიურ ფორმატებში ისაუბრებდნენ კონფლიქტზე და მის ნეგატიურ ზეგავლენაზე მათ ცხოვრებაზე და ამ დიალოგზე დაფუძნებით შეიმუშავოს დმანისისთვის რელევანტური კონფლიქტის ტრანსფორმაციის გეგმა;
- დაიწყოს დმანისში ეთნიკური სტერეოტიპების წინააღმდეგ მიმართული კამპანიები, როგორც ქართულ, ასევე აზერბაიჯანულ თემში.

საქართველოს პარლამენტმა

- საერთაშორისო აქტორების, სახალხო დამცველის, ადამიანის უფლებათა ადგილობრივი და საერთაშორისო აქტორების რეკომენდაციების შუქზე დაიწყოს საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ეთნიკური უმცირესობების მიმართ უფრო თანასწორი გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს (მათ შორის, სპეციალური მექანიზმების შემუშავება ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების, საჯარო სამსახურში მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით);
- ეთნიკური უმცირესობების საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს პარლამენტთან შექმნას ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო ორგანო, რომელიც საერთაშორისო აქტორების რეკომენდაციებს, ასევე ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ადამიანის უფლებებზე მომუშავე აქტორებთან დემოკრატიულ კონსულტაციებს დაეფუძნება.
- გააძლიეროს საპარლამენტო კონტროლი ეთნიკური/რელიგიური კონოტაციის მქონე კონფლიქტებთან დაკავშირებულ პოლიტიკაზე და პერიოდულად მოისმინოს და რეკომენდაციები მისცეს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს კონფლიქტების რეალური ტრანსფორმაციის მიზნით;

შინაგან საქმეთა სამინისტრომ

- შეიმუშაოს და დანერგოს რელიგიური, ამავე დროს, ეთნიკური კონფლიქტების გამოვლენის, თავიდან აცილებისა და სათანადო რეაგირების პოლიტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებებსა და ადამიანის უფლებების სტანდარტებს დაეფუძნება;

- კიდევ უფრო გააძლიეროს ეთნიკური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების ეფექტური გამოძიება და მათზე შიდა უწყებრივი მონიტორინგი;
- უზრუნველყოს ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვან მუნიციპალიტეტებში პოლიციის მიმართ თემის ნდობის გაზრდა, რომელიც ამ კუთხით არსებული გამოწვევების სისტემურ ანალიზს დაეფუძნება და თანადროულად მოიცავს, ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების კულტურის, ისტორიის, ყოფის შესახებ პოლიციელების ცოდნისა და სენსიტიურობის ამაღლების, ეთნიკური უმცირესობების პოლიციაში დასაქმების ხელშეწყობის, პოლიციის მიმართ საზოგადოებრივი კონტროლის გაზრდის, პოლიციის ანალიტიკური და პრევენციული მუშაობის მიდგომების გაძლიერების კომპონენტებს;
- აღმოფხვრას კრიმინალური და ნახევრადკრიმინალური აქტორების გავლენები მართლწესრიგის დაცვისა და პოლიციის მიმართ ნდობის მშენებლობის გზით

სახელმწიფო უსაფთხოების სამსახურმა

- სხვა უწყებებთან კოორდინაციით, შეისწავლოს ეთნიკურად-რელიგიურად მრავალფეროვან რეგიონებში კონფლიქტების საფუძვლადმდებარე მიზეზები და ფაქტორები და მისი კომპეტენციის ფარგლებში უპასუხოს მათ. არსებითია, რომ ეს პროცესი სახალხო დამცველთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების და სხვა უწყებებთან ღია, გამჭვირვალე კოორდინაციის ფორმით წარიმართოს;
- სხვადასხვა უწყების მონაწილეობით შეიმუშავოს ძალადობრივი ექსტრემიზმის გამკლავების ერთიანი პოლიტიკა და დროულად, ეფექტიანად აღმოფხვრას ბოლო წლებში მზარდი მემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების მხრიდან მომდინარე ძალადობისა და კონფლიქტის რისკები.

პროკურატურამ

- გააძლიეროს რელიგიური და ეთნიკური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების პროცესზე ზედამხედველობა და სამართლიანი, ადეკვატური სამართლებრივი რეაგირება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ

- სკოლის სახელმძღვანელოები გადააფასოს ეთნიკური უმცირესობების პრიზმიდან და არსებული სახელმძღვანელოები გახადოს უფრო ინკლუზიური, ამავე დროს მრავალფეროვანი;
- კრიტიკულად შეაფასოს საქართველოს ზოგად განათლებაში არსებული გამოწვევები და სტრუქტურული უთანასწორობები ეთნიკური უმცირესობებისთვის და გადადგას არსებული უთანასწორობის აღმოფხვრისთვის საჭირო სპეციალური ნაბიჯები;
- შექმნას სპეციალური საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამები რელიგიური/ეთნიკური კონტექსტის მქონე კონფლიქტი ადგილების საჯარო სკოლებში და მოახდინოს მათი ეფექტიანი დანერგვა, შეფასება და მონიტორინგი;
- შეიმუშავოს საჯარო სკოლებში თანასწორი, მრავალფეროვანი და სოლიდარული გარემოს მშენებლობის სახელმძღვანელო პრინციპები, ჩარჩოები, პროგრამები და მისი დანერგვა დაიწყოს პრიორიტეტულად ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვან სკოლებში;
- დაგეგმოს გაცვლითი პროგრამები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სკოლის მოსწავლეებისთვის დანარჩენ საქართველოში და პირიქით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ

- სხვა უწყებებთან კოორდინაციით და შეთანხმებით, შეიმუშავოს კონფლიქტის ტრანსფორმაციის გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ადგილობრივი თემების მონაწილეობით წარიმართება;
- შეიმუშავოს და განახორციელოს ეთნოსებს შორის ნდობის მშენებლობაზე, დიალოგსა და თანამშრომლობაზე მიმართული სოციალური, საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამები დმანისის მუნიციპალიტეტში;
- გააძლიეროს დმანისის ახალგაზრდული საბჭოს მუშაობა სამოქალაქო თანასწორობის მშენებლობის კუთხით, სადაც ახალგაზრდები შეასრულებდნენ გადაწყვეტ როლს ეთნოსთაშორის სოლიდარობის მშენებლობის პროცესში;
- გააღრმავოს თანამშრომლების ცოდნა თანასწორობის, კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და მართვის სფეროში;
- გააძლიეროს ეთნიკური უმცირესობების დასაქმება ადგილობრივ თვითმმართველობაში;
- საკუთარი პროგრამების, სერვისებისა და სამუშაოების განხორციელების პროცესში დანერგოს, რეგულარულად გაზომოს ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობისა და მონაწილეობის მაჩვენებლები და მიიღოს პოზიციური მხარდაჭერი ზომები ამ კუთხით არსებული ბარიერების და ასიმეტრიის აღმოსაფხვრელად.

საზოგადოებრივმა და დონორმა ორგანიზაციებმა

- გააძლიერონ საკუთარი მუშაობა რეგიონებში, განსაკუთრებით მრავალფეროვან რეგიონებში და მათი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება რეალურ ადგილობრივ საჭიროებებს, წუხილებს და ინტერესებს დაუახლოვონ;
- რელიგიური და ეთნიკური კონოტაციის მქონე კონფლიქტების ადგილებში გააძლიერონ მშვიდობის მშენებლობაზე მიმართული პროგრამები და ამ მიმართულებას მიანიჭონ პრიორიტეტი.

მედიაორგანიზაციებმა

- გააძლიერონ ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვანი რეგიონების სოციალური, კულტურული და პოლიტიკური გამოწვევების სისტემური გაშუქება და მათ შორის, ხელი შეუწყონ ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების თემებისა და წარმომადგენლების ხილვადობის გაზრდას;
- გააძლიერონ თანასწორობაზე, ინკლუზიაზე, დემოკრატიაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და პოლიტიკური გადაცემები და ხელი შეუწყონ ამ იდეების სხვაგვარ პოპულარიზებას.